სპორტი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 ივლისი 2008 №157 (3381) ფასი 50 თეთრი

თარგამაძეს გლადბახიც გამოუჩნდა

2



მე უკვე ვემზადები ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

3

ცოტათი განსაკუთრებული გამარჯობა, მე ჯონ ტერი ვარ!

7

ჟამი ფიქრისა

„ამერის“ ფეხბურთელებმა, კლუბს ჩვენი სახელფასო დავალიანება აქვსო და, გუშინწინ ვარჯიში იუარეს, ასე ვთქვათ, ბოიკოტი გამოაცხადეს. „ამერის“ გლდანის სტადიონზე გუშინწინ მხოლოდ გუნდის მწვრთნელები და პერსონალი იყვნენ, ფეხბურთელები კი არ გამოჩენილან. მოგვიანებით ფეხბურთელებს ჩვენ დავუკავშირდით და შექმნილ ვითარებაზე კომენტარი ვთხოვეთ — უშედეგოდ. მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა თქვა, რომ ბენზინის ფულიც არ გვაქვს და ვიდრე ხელფასები არ დარიგდება, ვარჯიშზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. ეს გუშინწინდელი ამბებია და „ამერს“ არც გუშინ უვარჯიშია... რა ხდება „ამერში“, რატომ შეიქმნა ფინანსური პრობლემები საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და მოწესრიგებულ გუნდში, რა პერსპექტივაა — აი, ამ და სხვა კითხვებით გუშინ „ამერის“ პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიასა და მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს მივმართეთ...

— რატომ იუარეს ვარჯიში ფეხბურთელებმა?

— ხელფასების დაგვიანების გამო — გვითხრა ზურაბ ფოცხვერიამ — ტექნიკური მიზეზები იყო და დავალიანებაც ამან გამოიწვია.

— გუნდს არც დღეს უვარჯიშია?

— არა, გუშინდელი ამბების შემდეგ დღევანდელი ვარჯიშიც არ დანიშნულა.

— ფეხბურთელებს არ შეხვედრიხართ?

— პირადად არა.

— ამჟამად რას აპირებთ?

— ვფიქრობთ.

— როდის გამოსწორდება ვითარება?

— ნაწილობრივ უკვე გამოსწორებულია და მალე ყველაფერი მოგვარდება. გვსურს, რომ გუნდმა მზადება რაც შეიძლება მალე განაახლოს.

— ჩაშლილი ვარჯიშებისთვის ფეხბურთელებს საჯარიმო სანქციები თუ ელით?

— სანქციებზეც ვფიქრობთ.

— ფინანსურის გარდა არის „ამერში“ სხვა პრობლემებიც?

— ბევრი ისეთი რამაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ დანაწევრება არ ღირს, კომპლექსური საკითხია.

*„ამერის“ პრეზიდენტის შემდეგ გუნდის მთავარ მწვრთნელ **გიორგი ჩიხრაძეს** შესაძლო ცვლილებებზე ვკითხეთ და იმ შეხვედრის თაობაზეც, რომელიც მას გუშინ ფეხბურთელებთან ჰქონდა...*

— ცხადია, ცვლილებები გამორიცხული არ არის, ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ. რამდენიმე ფეხბურთელია ჩვენთან გასინჯვაზე და შეიძლება, კიდევ მოვიდნენ, რამდენიმეც უკვე წავიდა. მოკლედ, როგორც ყოველთვის, ცვლილებები გუნდის შენების თანმდევი პროცესია.

— გავიგეთ, რომ ჩაშლილი ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებს შეხვდით. თუ საიდუმლო არ არის, რა ითქვა?

— ფეხბურთელების ერთ ჯგუფს მართლაც შევხვდი და გუნდში შექმნილ ვითარებაზე ვისაუბრეთ. ფეხბურთელებთან კონტრაქტი გვაქვს და ახლა უკვე გადაწყვეტილებების მიღება კლუბზეა დამოკიდებული.

აი, ასეთი ამბებია სადღეისოდ „ამერში“. ვნახოთ, რა იქნება დღეს და ხვალ...

ძოგა ინასარიძე

დინამომ გერმანიაში აღარ ითამაშა და უკან წამოვიდა

თბილისის „დინამოს" გუშინ გერმანული შეკრების ბოლო მატჩი იქაური რეგიონალლიგის „ბაინჰოფთან" უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ჩვენების თხოვნით, შეხვედრა არ შედგა.

„დინამო" გერმანიაში ლამის ლაზარეთად იქცა და სწორედ იმიტომ, რომ ნახევარი გუნდი ტრავმირებულია, თბილისელები გართულებებს მოერიდნენ და აღარ ითამაშეს.

ჩამოვთვალოთ: ილია სპასოევიჩს სიცხე აქვს; დავით დიღმელაშვილს, ლევან ხმალაძეს, შოთა კაშიას და გიორგი ლოსაბერიძეს მიკროტრავმები აწუხებთ; ინდივიდუალურად ვარჯიშობს გიორგი მერებაშვილი, ხოლო მათე ვაწაძე და ნიკა ფირცხალავა გუნდთან ერთად კი არიან, მაგრამ დატვირთვებს ერიდებიან.

„დინამოს" გერმანულ შეკრებაზე არ ჰყავდა არც გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო და არც თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი — ესენი, როგორც ვწერდით, „დინამოს" თბილისში დახვდებიან.

მოკლედ ჩვენებმა გერმანული შეკრება დაამთავრეს, თბილისში ხვალ დილით დაბრუნდებიან და ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერულ „რუნავიკთან" მატჩისთვის მზადებას მშობლიურ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გააგრძელებენ, იქამდე კი, იმედია, ყველა ფეხბურთელი გამოჯანმრთელდება.

ძობა ინასარიძე

თარგამაძეს გლადბახიც გამოუჩნდა

„**ფრაიბურგი**" თუ „კარლსრუე"? — ასეთი არჩევანის წინაშე იდგა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი დავით თარგამაძე, მაგრამ...

როგორც შევიტყვეთ, ბუნდესლიგური „კარლსრუე" უფრო კარგ პირობებს სთავაზობს ჩვენებურს, თუმცა ამ ეტაპზე მას მაინც „ფრაი" ურჩევნია.

რატომ? მიზეზი მარტივია: იქ უფრო ექნება თამაშის შანსი.

თარგამაძემ „ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდში მძლავრი სეზონი ჩაატარა, ბუნდესლიგაც მოიგო და სხვა კლუბებსაც მოაწონა თავი.

„კარლსრუეში" მას ალექსანდრე იაშვილმაც გაუწია რეკომენდაცია და კლუბიც მზად იყო, პროფესიონალური კონტრაქტი გაეფორმებინა ახალგაზრდა ქართველთან, თუმცა...

„ალექსანდრე იაშვილმაც და არჩილ არველაძემაც დალოდება მირჩიეს. ჯერ კიდევ არის რაღაც ვარიანტები" — გვითხრა გუშინ დავით თარგამაძემ.

და აი, ახალი ამბავიც: როგორც შევიტყვეთ, ახალი ვარიანტი ბუნდესლიგური „მიონხენგლადბახია". მოლაპარაკებები უკვე მიდის და ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს საქმე...

ბახა შალამბერიძე



გელა შეყილაძის 23-დან 18



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები რომ ივლისის ბოლოს აზერბაიჯანში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს, ადრეც გაუწყეთ.

გელა შეყილაძემ უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომელთაც ბაქოში წაიყვანს.

მეკარეები: გიორგი ნადირაძე, კახა მეშველიანი, გიორგი აზნიაშვილი;

მცველები: მინდია ფუტკარაძე, ნიკა აფაქიძე, ნიკა კვეკვესკირი, თორნიკე ჯიმშელეიშვილი, ბესო ამაშუკელი, ავთანდილ ბრაჭული, თემურ სანიკიძე, მამუკა კობახიძე;

ნახევარმცველები: ნიკა ძალამიძე, ლევან ელიზბარაშვილი, ნოშრევან ჯიშკარიანი, გიორგი ხარლამოვი, ზვიად ჭედია, გიორგი კუხიანიძე, ჯანო ანანიძე;

თავდამსხმელები: ირაკლი შეყილაძე, ლაშა ჩაფიძე, ილია ბუზალაძე, კოტე გაბაშვილი, გიორგი ილურიძე.

შეყილაძე გუნდს 10 ივლისიდან 26 ივლისამდე ლაგოდეხში მოამზადებს. იქიდან გაემგზავრება ნაკრები ბაქოში, სადაც 28 და 30 ივლისს აზერბაიჯანის 17-წლამდელთა ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი ჯანო ანანიძე ნაკრებს მოგვიანებით შეუერთდება. ამ 23 ფეხბურთელიდან კი მწვრთნელი იმ 18-ეულს შეარჩევს, რომელთაც აგვისტოში პალანგის საერთაშორისო ტურნირზე წაიყვანს.

ბახა შალამბერიძე

22 ივლისს 14 საათზე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გაიმართება დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის წილისყრა.

კვარაცხელიას პირველი და კაცნაკლული ვიტ ჯორჯია
ვიტელებმა დესნა დასცეს

ყირიმში შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ" მესამე საკონტროლო მატჩი გამართა და პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ჩერნიგოვის „დესნასთან" ნესტორ მუმლაძემ გუნდი ორი სხვადასხვა შემადგენლობით ათამაშა. პირველ ტაიმში სარეზერვო შემადგენლობა გამოიყვანა და ტაიმიც თანაბარი გამოდგა, თუმცა ვეტერინარებმა გოლის გატანა მაინც მოახერხეს — გიორგი კვალინიძემ 25 მეტრიდან მძლავრად დაარტყა ჯარიმა — 1:0.

მეორე ტაიმი „ვიტ ჯორჯიამ" ძირითადი შემადგენლობით ჩაატარა და სრულ უპირატესობასაც ფლობდა. 55-ე წუთზე ვეტერინარებმა ლამაზი სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ ანგარიშში სხვაობა გააორმაგეს — თავისი პირველი გოლი „ვიტ ჯორჯიას" მაისურით ვახტანგ კვარაცხელიამ მიითვალა.

75-ე წუთზე ლუკა რაზმაძემ მეტოქის უხეშობას უხეშობით უპასუხა და მოედნიდან გააძევეს. წინასწარი შეთანხმებით, შეცვლა შესაძლებელი იყო, თუმც თბილისელები მაინც კაცნაკლული დატოვეს და თამაშიც მეტ-ნაკლებად გათანაბრდა.

84-ე წუთზე კი კუჩერენკომ საჯარიმო დარტყმით სხვაობა შეამცირა.

„ვიტ ჯორჯია" (I ტაიმი): მიქაბერიძე, ხურცილავა, ყველაშვილი ადამაძე, კაიშაური, მაისაშვილი, ვასაძე, კვალინიძე, გ. ჯანელიძე, ლუჭაშვილი, ბერიაშვილი.

(II ტაიმი): მიქაბერიძე, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ვ. კვარაცხელია, ლიპარტია.

დღეს „ვიტ ჯორჯია" იქაურ „კრიმტეპლიცას" გაეჯიბრება, ხვალ კი საქართველოში დაბრუნდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ტრნავას აკლდებიან, მაგრამ ემატებიან

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" საუეფასთასო მეტოქემ, ტრნავას „სპარტაკმა" სლოვაკეთის მეორელიგელ „სლოვაცკოსთან" ამხანაგურ მატჩში 0:0 ითამაშა.

ამ ტესტ-მატჩში „თეთრი ანგელოზების" მწვრთნელმა ვლადიმირ ვერმეზოვიჩმა ტომაშ ჰანცელი, ბაბაქარ ნიანგი და მარტინ ჰრუშკა ვერ გამოიყენა, რადგან მათ მცირე ტრავმები ჰქონიათ. სამაგიეროდ, ლაზარეთიდან მობრუნდნენ კაპიტანი დოლეჟაი, ფილიპოვიჩი და გულდანი.

ერთი ცნობილია, რომ ჰანცელი ვიტელებთან ორივე მატჩს გამოტოვებს.

ტრნაველებს ორი ახალი ფეხბურთელიც ჰყავთ მეორე გუნდიდან: მარცხენა მცველი მიხალ ვანიაკი და ცენტრალური მცველი პეტერ მიჩიჩი, რომლებიც 22 წლისანი არიან.

რაც შეეხება შემადგენლობას: *რუბანსკი (ბრანსი 77) — პონჩაკი, ჩიფერსკი (დოლეჟაი 60), იაკუბიჩკა (მიჩიჩი 46), ჰლავატოვიჩი (ვანიაკი 46) — დიურიში (პროპაზკა 20), კოპუნეკი (ჟედუნოვი 60), იელენკოვიჩი (კოპაჩკა 60), პერეში (ტომჩაკი 60) — ბერნატი (ფილიპოვიჩი 60), კოჟუხი (გულდანი 60).*

„ვიტ ჯორჯიამდე" „სპარტაკი" ერთ ამხანაგურსაც გამართავს — 12 ივლისს ჩეხურ „ჟიჟკოვს" შეხვდება.

ილია ნანობაშვილი

ამხანაგური მატჩები

ვაილე 1:2 სილკებორგი
ბრონდბიუ 2:1 ლიუნგბიუ
კოლდინგი 1:0 ორჰუსი
კარლ ცაისი 0:3 ესბიერგი
რანდერსი 2:1 სიონდერისკე
მარსელი 0:2 ნანტი
ერფურტი 1:3 მიდტიულანდი
ჰესლინგენი 0:4 ჰორსენსი
ივერდონი 0:0 იანგ ბოისი
პლზენი 2:2 მოსტი
პანათინაიკოსი 2:1 გურნიკი
ბულონი 1:1 სიდანი
რენი 4:0 გინგამი
ტულუზი 2:0 სეტი
ბრიუგე 1:2 მონსი
რუჟომბეროკი 0:0 კრაკოვია
არმინია 1:2 გლადბახი
ჰერტა 0:0 ჰაპოელი
ლევსკი 2:2 კალიაკრა
სოშო 0:1 ბრაშოვი
ძსამაძსი 0:2 რაპიდი (ბუქ.)

რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
სატურნი 0:0 მოსკვა
ზენიტი 3:4 ნალჩიკი

შვედეთი

ალსვენსკა. XIII ტური
ელფსბორგი 0:1 გეფლე

ფინეთი

თასის მერვედფინალი
კუოპიო 0:2 ჰიკ
ტურკუ 0:1 ჰაკა

ავსტრია

ბუნდესლიგა. I ტური
აუსტრია 1:1 კერნტენი
კაპფენბერგი 0:1 ლინცერი
რიდი 3:0 ალტახი
ზალცბურგი 6:0 მატერსბურგი

სლოვენია

სუპერთასი
ფინალი
დომჟალე 0:0დ.დ. (6:7პ) ინტერბლოკი

ნორვეგია

ტიპელიგა. XIII ტური
ჰამ კამი 2:1 რუსენბორგი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
ტრისილი 1:2 სანდეფიორდი
თასის მეთექვსმეტედფინალი
ჰიოდი 1:2 ალესუნდი

მე უკვე ვემზადები

ახლოვდება უელსთან ამხანაგური მატჩი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც აღარ არის შორს, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი კი კვლავ ვაკანტურია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რიგიანი კანდიდატები კი შეურჩევია, მაგრამ ჯერჯერობით შეთანხმებას ვერც ერთთან ვერ ახერხებს, დრო კი მიდის...

და ეს დრო მუშაობს ჩვენთვის უკვე შინაურად ქცეულ პეტარ სეგრტზე. ხორვატი სპეციალისტი აგერ უკვე ორი წელია, საქართველოშია, ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობს და ქართული ფეხბურთის ჭირ-ვარამიც კარგად მოეხსენება. სეგრტს უკვე აქვს ეროვნული ნაკრების მესაჭეობის გამოცდილებაც: ბოლო ამხანაგურ მატჩებში — ესტონეთთან და პორტუგალიასთან — სწორედ ხორვატი მოძღვრავდა ჩვენებს და მის ორკვირიან სანაკრებო მუშაობაზე აუგი მაინცდამაინც არ ითქმის. ასეა თუ ისე, სეგრტი იმედიანადაა და ნაკრების მთავარმწვრთნელობისთვის ემზადება, მასთან გუშინდელი საუბარი კი ზემოთხსენებული ტესტ-მატჩებით დავიწყეთ...

პეტარ სეგრტი, როგორც ყოველთვის: ძალიან მინდა ეს საქართველო!

— პორტუგალიასთან მატჩიდან უკვე საკმარისი დრო გავიდა და ამ გადმოსახედიდან როგორ აფასებთ თქვენს ხანმოკლე სანაკრებო მუშაობას?

— საკუთარი საქმიანობის შეფასება უხერხულია, ეს ფედერაციისა და ჟურნალისტების საქმეა, მათგან კი, მგონი, უარყოფითი შეფასება არ დამიმსახურებია. იმ ხანმოკლე დროში, რაც ნაკრებში ვიმუშავე, მეტის გაკეთება ნამდვილად შეუძლებელი იყო. ამაში, ცხადია, შედეგს ვგულისხმობ, თორემ რაც შეეხება უშუალოდ ვარჯიშებს და სხვა შიდა ამბებს, ამ მხრივ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— ფედერაციისგან უარყოფითი შეფასება არ დამიმსახურებიაო, თქვით და, კონკრეტულად რა გითხრეს?

— ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ისევე, როგორც მე და ქართული ფეხბურთის ყველა ქომაგი, პორტუგალიასთან მატჩის მეორე ტაიმით კმაყოფილი დარჩა. ახალკაცს მოეწონა ჩვენი ბიჭების თამაში, მათ პირადადაც გაესაუბრა და გარჯა შეუქო. ვიმეორებ, ეს პორტუგალიასთან მატჩის მეორე ტაიმს ეხება, როცა მოედანზე თითქმის ახალი და რაც მთავარია, ახალგაზრდა შემადგენლობა გავიყვანე.

— ეს განზრახ გააკეთეთ?

— რა თქმა უნდა. რომ ვნახე, პირველ ტაიმში არაფერი გამოგვივიდა, მეტოქეს სივრცეებს ვუთმობდით და შეტევას ვერ ვახერხებდით, მოედანზე ახალგაზრდული ნაკრების წევრები შევუშვი, რომლებსაც ერთად წარმატებით თამაშის გამოცდილება ჰქონდათ და შედეგიც გამოჩნდა. სხვათა შორის, პორტუგალიელთა მწვრთნელმაც მკითხა ამ ახალგაზრდებზე, მატჩის შემდეგ რომ ვისაუბრეთ.

— ლუიშ ფილიპე სკოლარის ნამატჩევს რომ გაესაუბრეთ, ვიცით და მერეც შეხვდით?

— დიახ, თამაშის შემდეგ 5-10 წუთი ვისაუბრეთ. სკოლარი გაკვირვებული იყო, ეს ახალგაზრდა ბიჭები როგორი სწრაფები და ჭკვიანები იყვნენ, ძალიან კარგი თაობა გეზრდებათო. მე ვუთხარი, რომ ისინი ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან და მათთან ერთად ბოლო მატჩებში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. სკოლარი კი არა, სხვა უცხოელებიც კითხულობდნენ ამ ახალბედებზე, ყველა აღნიშნავდა მათ კარგ თამაშს.

— გამოდის, ახალგაზრდებით უფრო კარგი შედეგის მიღწევა შეიძლება, ვიდრე ნაკრების სტაჟიანი ფეხბურთელებით?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ... ახალგაზრდობა რომ ჩვენი ნაკრების მომავალია, ამას კამათი არ უნდა. მეორე ტაიმში ჩვენ უფრო თანამედროვე ფეხბურთი ვითამაშეთ. პრესინგსაც არ ვერიდებოდით და სწრაფადაც ვმოძრაობდით დაცვასა თუ შეტევაში. ესაა შრომის ნაყოფი, ამ ბიჭებს ხომ ერთად გაცილებით მეტი უვარჯიშიათ და უთამაშიათ, ვიდრე ეროვნული ნაკრების წამყვან ლეგიონერებს. ხან ვინ აკლდათ, ხან ვინ და ამიტომაც ვერ მიაღწია შედეგს ეროვნული ნაკრების წინა მწვრთნელმა. დამერწმუნეთ, ჩვენს ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს: კალაძე, კობიაშვილი, კანკავა, ასათიანი, მუჯირი, სირაძე, ხიზანიშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამათ რომ ემატებათ ყენია, მჭედლიძე და სხვა მართლაც ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდები, შესანიშნავი შემადგენლობა გამოდის, რითაც სერიოზული შედეგის მიღწევა სავსებით რეალურია.

— მაშ რატომ ვერ ვაღწევთ?

— დრო და მენტალიტეტი: აი, რაშია საქმე. მე ძალიან კარგად ჩავწვდი ქართველების ხასიათს და თუკი ერთად შეკრების და ხანგრძლივი ვარჯიშების შანსი მოგვეცემა, მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება.

— ანუ თქვენ ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა გსურთ, ფედერაცია კი ამ დროს სხვა კანდიდატებს არჩევს...

— გასაგებია, რომ ფედერაცია ცდილობს, ნაკრებს სახელიანი თავკაცი მოუძებნოს, მაგრამ ეს მე მწვრთნელობის ამბიციას არ მინელებს. დიახ, მე მინდა, რომ ეროვნულ ნაკრებში ვიმუშავო და ამისთვის, ასე ვთქვათ, უკვე ვემზადები. ამას წინათ მოვინახულე კობიაშვილი, ყენია, იაშვილი, ასათიანი, მუჯირი... გავეცანი მათ საკლუბო ამბებს.ველაპარაკე მათ მწვრთნელებს. ახლა ვაპირებ იტალიაში წასვლას, სადაც კალაძეს და მჭედლიძეს ვნახავ. რუსეთშიც მინდა ჩასვლა და სირაძის, გოგუას და ნაკრების სხვა წევრების ნახვა.

— როგორ შეაფასებდით თქვენს შანსებს ეროვნულის მწვრთნელად დანიშვნის მხრივ?

— ვერ გეტყვით, ფედერაცია მალე მიიღებს გადაწყვეტილებას. არიან ღირსეული კანდიდატები, თუმცა მეც მაქვს ჩემი პლუსები. მთავარი ის არის, რომ მე კარგად ვიცნობ ქართულ ფეხბურთს. ორი წელია, ფაქტობრივად, საქართველოში ვცხოვრობ და ამ ხნის მანძილზე სრულად შემექმნა აქაურ ფეხბურთზე, მის ყველა ნიუანსზე წარმოდგენა. ახალი მწვრთნელი რომ ჩამოვიდეს, მას ელემენტარულად დრო აღარ ექნება საიმისოდ, რომ ეროვნულ ჩემპიონატს უყუროს, ეს კი, ჩემი აზრით, დიდი მინუსი იქნება. ეროვნული ჩემპიონატი არის ნიჭიერი ახალგაზრდების საბადო. ეს წარსულმა წლებმა დაამტკიცა და ჩემი აზრით, მწვრთნელი აქ მოთამაშე ბიჭებს უფრო უნდა აკვირდებოდეს, ვიდრე ლეგიონერებს.

— რაკი ასე აქტიურად მუშაობთ, ეროვნულის თავკაცად თუ არ დაგნიშნავენ, მთავარ მწვრთნელს ალბათ კარგ ასისტენტობას გაუწევთ...

— მეორე მწვრთნელობა არ მინდა. მე მაქვს ჩემი საქმე. ვუძღვები ძალიან კარგ და სიმპათიურ ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელიც წინ მიიწევს. ასევე ვარ ასაკობრივ ნაკრებთა ტექნიკური დირექტორი და ამ საქმეში საკეთებელსაც ბევრს ვხედავ. ეროვნული ნაკრები პრიორიტეტია და მას შეძლებისდაგვარად ყველა დავეხმარებით.

ირაკლი პერტაია

ზესტაფონი უგოლოდ მოდის

„ზესტაფონმა“ თურქული შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა. იმერელთა მეტოქე აზერბაიჯანული „ყარაბახი“ გახლდათ.

მატჩი უგოლოდ დასრულდა, ზესტაფონელებმა კი ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *რ. კვასხვაძე, ლობჟანიძე, ფრიდოლინი (მაკარიანი 49), სანტოსი (შ. ლონლაძე 46), ს. თოდუა (ხიხაძე 80), რ. ონიანი (საცერაძე 74), ვიეირა (ბუკია 85), ნ. კვასხვაძე (ძარია 55), დაუშვილი (სტეფანიშვილი 58), გელაშვილი (იონანიძე 46), ბ. გოცირიძე (ჩასემი 27).*

ზესტაფონური დებიუტი ჰქონდა ნახევარმცველ ნიკა სტეფანიშვილს, რომელიც აქამდე რუსთავის „ოლიმპში“ იყო, თემურ მახარაძის გუნდში კი გასინჯვაზეა...

პირველ ტაიმში უპირატესობა ქართველებისა იყო. ასე გაგრძელდა შესვენების შემდეგაც. ზესტაფონელებს გოლის გატანის რამდენიმე შანსი ჰქონდათ, თუმცა ნიკა გელაშვილმა ბურთი ძელს გაარტყა, ერიკ რომეო ჩასემმა, ზურაბ იონანიძემ და ჟილვან ვიეირამ კი ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს.

ჩასემმა 27-ე წუთზე ტრავმირებული ბექა გოცირიძე შეცვალა. კლუბის პრესსამსახურის ცნობით, საშიში არაფერია და ბექა მალე განაახლებს გუნდთან ერთად ვარჯიშს.

„ზესტაფონი“ შინ დღეს ბრუნდება.

ქახა შალამბერიძე

ბექა გოცირიძე (№10)

რუსთაველებს აკუასაგამ გაბონელი გამოუგზავნა

გუშინ რუსთავის „ოლიმპმა“ „ნორჩ დინამოელზე“ ივარჯიშა. ხვიჩა ქასრაშვილის განკარგულებაში ყველა ლეგიონერი იყო. ჰოლანდიელი იოჰან ვერსლუისი, უნგრელი ჟოლტ სალკაი და ბრაზილიელი მენდეში ქასრაშვილმა საქმეში უკვე ნახა „სიმურგთან“ 2:1 მოგებულ ამხანაგურ შეხვედრაში. კიდევ ორმა ბრაზილიელმა, მორაიშმა და რიჩარდ იზბერნერმა კი რუსთავულ გუნდში პირველად ივარჯიშეს.

გუშინ საქართველოში ჩამოვიდა კიდევ ერთი ლეგიონერი — 26 წლის გაბონელი მცველი, ვინც რუსთაველთა ასევე გაბონელმა ფეხბურთელმა, ერნესტ აკუასაგამ გამოაგზავნა თავისი სამშობლოდან. თავად აკუასაგა კი 15-16 ივლისს შეუერთდება გუნდს.

მოგეხსენებათ, ტრავმის გამო „სიმურგთან“ არ იყო თავდამსხმელი კოკა მიკუჩაძე, თუმც გუშინ თანაგუნდელებთან ერთად დაიტვირთა.

„ოლიმპი“ დღეს ორ ტესტ-მატჩს გამართავს: დილის 11 საათზე პირველლიგელ „ოლიმპიკს“ გაეჯიბრება დიღომში, კარლო მჭედლიძის აკადემიის მოედანზე. 18 საათზე კი რუსთავში აზერბაიჯანულ „სიმურგთან“ კიდევ ერთხელ მოსინჯავს ძალას.

ნუგზარ ლოლაძე

მესხები თურქებმა შეაგულიანეს

ახალციხის „მესხეთი“ უკვე შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას. გუნდში გარკვეული ფინანსები გამოჩნდა, ამასთან, უახლოეს დღეებში თურქ ბიზნესმენებს ელოდებიან, რომლებიც კლუბის აქციების ნაწილს გააკონტროლებენ.

„ფინანსები გამოჩნდა, უკვე იმედიანად ვარ. რაც შეეხება თურქ ბიზნესმენებს, მათ უახლოეს დღეებში ველოდებით. ისინი მხოლოდ ბიზნესმენები არ არიან, რომ იტყვიან, ფეხბურთში ჩახედული ხალხია და გარკვეული პროგრამით მოდიან. ერთწლიანი გუნდის შექმნაზე არ ფიქრობენ. ხანგრძლივი პროგრამა აქვთ... რაც შეეხება შემადგენლობას, ბირთვი იგივეა. „სიონის“ ხელმძღვანელობასთან გვაქვს მოლაპარაკება და შესაძლოა, ზაზა ჭელიძე და ლევან ბაჯელიძე ვინათხოვროთ. ახლა გვარებს ვერ გეტყვით, მაგრამ გუნდში ბათუმელი და ზუგდიდელი ფეხბურთელებიც ისინჯებიან... თამაშით ბორჯომში ვითამაშებთ, ამიტომ გუნდს ამ დღეებში იქ გადავიყვანთ, სტადიონს შევაჩვევთ. გულშემატკივრის ნაკლებობას განვიცდით, მაგრამ ალბათ ავტობუსებით ვატარებთ“ — გვითხრა „მესხეთის“ პრეზიდენტმა გია მესხელმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გრიგოლ ცაავამ ბავშვთა ფეხბურთს ხელი მოჰკიდა



გრიგოლ ცაავა, ნიკა დოლიძე და უჩა უგულავა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგოლ ცაავამ, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ნიკა დოლიძემ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ პრესკონფერენცია გამართეს...

გრიგოლ ცაავა: „ჩვენი მთავარი მიზანი თბილისში საფეხბურთო მეურნეობის განვითარებაა,. ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს უნდა მივხედოთ. ერთობლივად შევიმუშავეთ პროექტი და სანამ ალმასკომი ამას დაამტკიცებს, მასში შენიშვნებსაც გავითვალისწინებთ“.

ნიკა დოლიძე: „ამ თვენახევარში შემოვიარეთ თბილისის საფეხბურთო სკოლები, რომლებიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშია დარეგისტრირებული. დავიწყეთ ამ სკოლების ლიცენზირება, მაგრამ სამწუხაროდ, 29 სკოლიდან მხოლოდ შვიდმა მიიღო ლიცენზია, ექვს სკოლას პირობითი ლიცენზია მივეცით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისთვის 270 ათასი დოლარი გამოყო. სკოლებში მწვრთნელთა განათლების მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. ეს დიდი ღრმული უნდა ამოვავსოთ. კულუარულად ყოველთვის იყო საუბარი ბავშვთა ფეხბურთში არსებულ კორუფციაზე, თუმც ხმამაღლა ამას არავინ ამბობდა. ავადმყოფმა თუ ექიმს არ უთხრა, რა აწუხებს, ვერ მორჩება. ამიტომ ყველამ ხმა უნდა ამოვიღოთ. სათქმელი ვთქვათ და ეს ხარვეზები აღმოვფხვრათ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ფულთან შეხება არავის ექნება — მშობელი გადასახადს ბანკში შეიტანს და ქვითარსაც მიიღებს. გადავწყვიტეთ, რომ ლიცენზირებული სკოლების ჩემპიონატი ცალკე ჩავატაროთ. მას „ელიტ-ლიგა“ დაერქმევა. 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას — 13 თბილისიდან, 3 რეგიონებიდან. ჩემპიონატი სექტემბერში დაიწყება და ივლისში დამთავრდება. ივლისამდე იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ დროს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დასრულებული იქნება და სელექციონერებსაც საშუალება ექნებათ, თვალყური მიადევნონ „ელიტ-ლიგის“ მატჩებს. არალიცენზირებული სკოლების ჩემპიონატი როგორც ტარდებოდა, ისევ ისე გაგრძელდება. სხვადასხვა ასაკის ბავშვები სხვადასხვა ზომის მოედნებზე ითამაშებენ და ფეხბურთელთა რაოდენობაც ასეთი იქნება — 9 წლის ბავშვები მინი-მოედანზე ხუთი ხუთზე ითამაშებენ. 10 წლისანები — შვიდი შვიდზე, თორმეტ-ცამეტი წლისანები — ცხრა ცხრაზე. გასულ წლებში ბავშვთა ფეხბურთში მსაჯობა დიდი პრობლემა იყო. ახლა კი უმაღლესი ლიგის მსაჯებისთვის აუცილებელი გახდება „ელიტ-ლიგაში“ გარკვეული რაოდენობის თამაში იმსაჯოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უმაღლეს ლიგაში მსაჯობის უფლებას ვერ მიიღებს. მსაჯებს ანაზღაურება ასი პროცენტით გაეზრდებათ“.

ნუგზარი ლოლაძე

თბილისის რეგიონში ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში გასატარებელი რეფორმების ნუსხა

1. 2008 წლის ივნისში ჩატარდეს საფეხბურთო სკოლების ლიცენზირება. (სკოლებს დაურიგდებათ სალიცენზიო კრიტერიუმები).

2. შეიქმნას ორი ლიგა. პირობითად — „ელიტ-ლიგა“, სადაც ითამაშებენ ლიცენზიაგავლილი სკოლები და „თბილისის ლიგა“ — არალიცენზირებული სკოლები. ელიტ-ლიგაში შემცირდება სუსტი გუნდების რაოდენობა და, შესაბამისად, აიწევს შეჯიბრის ხარისხი.

3. აუცილებელია, აღსდგეს სასწავლო-სამწვრთნელო პროცესი. ამისათვის საჭიროა 1-კვირიანი სავარჯიშო ციკლი (რაც ჩაშლილი და დავიწყებულია).

4. ცვლილება უნდა მოხდეს ჩემპიონატის ხანგრძლივობაში. ჩემპიონატი დაიწყოს სექტემბერში და გაგრძელდეს ივლისის პირველ რიცხვებამდე. გარდა 1-კვირიანი ციკლის აუცილებლობისა, ივნისში ყველა უმაღლესი ლიგის გუნდს დამთავრებული აქვს ჩემპიონატი და მათ სელექციონერებს ეძლევათ საშუალება, დააკვირდნენ და მოიძიონ ნიჭიერი ფეხბურთელები.

5. ცალკე უნდა ჩატარდეს „თბილისის თასის“ გათამაშება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველა გუნდი (როგორც ლიცენზირებული, ისე არალიცენზირებული).

6. გამარჯვებული გუნდები ითამაშებენ სუპერთასს.

7. უნდა გავითვალისწინოთ უეფას რეკომენდაცია. დიდი ასაკებისთვის — U-21, U-19, U-17 — 40 ოფიციალური თამაში სეზონში, პატარა ასაკებისთვის — U-16, U-15 — 30 თამაში.

8. კარდინალური ცვლილება უნდა მოხდეს ჩემპიონატში მონაწილეების გადახდის ფორმებში: დაწესდეს ერთიანი გადახდის სისტემა, ერთ გუნდზე 1 600 ლარი. განაცხადი — 20 ფეხბურთელი, თითოეულს უწევს წელიწადში — 80 ლარი, თვეში 7 ლარამდე. ეს თანხა ეხებათ 1991-დან 1995 წლამდე დაბადებულ ჭაბუკებს.

1996-97-98 წლებში დაბადებულებს 50 ლარი წელიწადში. თვეში 4 ლარი. ეს ასაკები თამაშობენ ნახევარ მოედანზე. თითოეულ ფეხბურთელზე კლუბი ვალდებულია, მითითებული ბანკის ანგარიშზე ჩარიცხოს ან შეიტანოს 80 ლარი, რის საფუძველზეც თფფ გასცემს მოთამაშის ბარათს.

ამ ცვლილებებით შევებრძოლებით გადახდის იმ მახინჯ ფორმებს, რაც დღეს საფეხბურთო სკოლებში ხდება.

9. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მწვრთნელთა განათლებას. დიდ ასაკებში აუცილებლად მოვითხოვოთ B კატეგორიის ლიცენზიები. გამკაცრდეს გამოცდები. საუკეთესო მწვრთნელები კვალიფიკაციის ასამაღლებლად გავაგზავნოთ ევროპის წამყვან კლუბებში სტაჟირებაზე.

10. გადაზრდილებზე დავაწესოთ უმკაცრესი ზომები. დამრღვევ მწვრთნელს მიეცეს დისკვალიფიკაცია 2 წლით პირველ შემთხვევაში — გასაჩივრების უფლებით (სააპელაციო კომიტეტში). განმეორების შემთხვევაში აეკრძალოს საფეხბურთო კლუბებში მუშაობა.

11. ყველა საფეხბურთო სკოლამ სეზონის წინ წარმოადგინოს წლიური გეგმა, სადაც აღრიცხული უნდა იყოს იმ წლის ყველა მოსალოდნელი ტურნირი. მკაცრი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ე.წ. „კომერციულ“ ტურნირებს, რომელიც არ იქნება შეთანხმებული თფფ-სთან. ყველა დამრღვევი საფეხბურთო სკოლა ვამხილოთ და ხმამაღლა ვთქვათ ნამდვილი მიზეზი და ინტერესი.

12. მერიასთან მჭიდრო ურთიერთობით განვაახლოთ კავშირები დაძმობილებულ ქალაქებთან. ჩავრთოთ მერიის სპორტის სამსახური. 2009 წლის ზაფხულის ტურნირებისთვის წელსვე მოხდეს შეთანხმება.

13. ყველა ასაკს უნდა ჰყავდეს სპონსორი. ვეცადოთ, უფროსი სამი ასაკის ჩემპიონები გავუშვათ საზღვარგარეთ ტურნირზე.

14. ლიცენზირებული სკოლის ფეხბურთელის სატრანსფერო ფიქსირებული გადასახადი განსხვავდებოდეს არალიცენზირებულისგან (წელიწადში 2 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში; არალიცენზირებული 1 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში). თანხები უნდა მოხვდეს სპეც-ანგარიშზე, საიდანაც 5 პროცენტი დარჩება ფედერაციას, რომელსაც ისევ მოახმარს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას.

15. უმაღლესი ლიგის მსაჯებისთვის აუცილებელი უნდა იყოს ბავშვთა ლიგაში გარკვეული რაოდენობის თამაშების მსაჯობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ მიიღებენ უმაღლეს ლიგაში მსაჯობის უფლებას. ეს ნოვაცია პრესტიჟს შემატებს ჭაბუკთა ჩემპიონატს.

16. თფფ-ს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიმუმ 1 ხელოვნურსაფარიანი (სტანდარტული ზომის 105X68) მოედანი.

17. გაზეთ „ოლიმპში“ კვირაში ერთხელ იქნება ჩანართი — თბილისის ფეხბურთი.

18. გაიხსნას თფფ-ის ოფიციალური ვებგვერდი ინტერნეტში.

დავით დევდარიანი: ორჰუსს მოვეწონე და ჯერი მოლაპარაკებაზეა

20 წლის დავით დევდარიანის დანიურ „ორჰუსში“ ჩარიცხვა გადაწყვეტილი ამბავია. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ერთი კვირა იყო დანიურ კლუბში და მწვრთნელ ოვე პედერსენისა და მენეჯერ ბრაიან სტენ-ნილსენის მოწონება დაიმსახურა. თუმცა კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა. დევდარიანი თბილისში ჩამოვიდა და სიტუაციაში გაგვარკვია...

— ის ტესტ-მატჩი, რომელიც დანიის ჩემპიონ „ოლბორგთან“ გვქონდა, კარგად ვითამაშე. პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდა, შეცვლაზე შევედი და 2:0 მოვიგეთ. ორივე გოლში მივიღე მონაწილეობა. ყველა კმაყოფილი დარჩა ჩემი თამაშით.

— და რატომ ჩამოხვედი თბილისში?

— ვიზა დამიმთავრდა და მაქსიმუმ სამ კვირაში ისევ ჩავალ. ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს ჩემს კონტრაქტზე და ალბათ შეთანხმებაც მოხდება.

— ფიზიკურად ხომ არ გაგიჭირდა? დანიაში ხომ სისწრაფესა და ფიზიკურ გამძლეობას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ...

— არა, ყველაფერი ნორმალურად იყო. თბილად მიმიღეს, ბაზა, სტადიონი დამათვალიერებინეს, მესაუბრნენ. იქ ყველანაირი პირობაა საიმისოდ, რათა კარგი ფეხბურთი ითამაშო.

— „ორჰუსში“ შენს პოზიციაზე დიდი კონკურენციაა? ანუ, ძირითადში მოხვედრის შანსი როგორია?

— კონკურენცია არის. მთლიანობაში კარგი გუნდია, მაგრამ იქ იმისთვის მივდივარ, რომ ვითამაშო. ისეთი სიძნელე ვერაფერი დავინახე, გადაჭრა რომ გამიჭირდეს. ვითამაშებ!

ილია ნანობაშვილი

ამისულაშვილის ავტოგოლი და გოლი

ნალჩიკის „სპარტაკმა“ რუსეთის ჩემპიონ „ზენიტს“ სტუმრად 4:3 სძლია და ალეკო ამისულაშვილმა ორი გოლი გაიტანა, თუმცა ერთი ავტოგოლი... სწორედ ალეკოს საკუთარ კარში ჩაჭრილით გაიხსნა ანგარიში პრემიერლიგის გადადებულ მატჩში, მერე კი თამაში შეიცვალა, ყაბარდოელებმა შეუტიეს ჩემპიონს და როცა ანგარიში 3:3 იყო, ამისულაშვილმა გადამწყვეტი გოლი შეაგდო — ჯარიმიდან ჩაწოდებულს თავი ურქინა და თავის გუნდს მიჯრით მესამე მატჩი მოაგებინა. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების შარშანდელი შეხვედრაც 4:3 დასრულდა, ოღონდ მაშინ „სპარტაკმა“ წააგო.

რაც შეეხება ნალჩიკელთა სხვა ქართველებს, გოგიტა გოგუამ და დავით სირაძემ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლეს მინდორზე გასვლა.

ილია ნანობაშვილი

შტურმმა ორი ქართველით და სამი ქულით დაიწყო

ავსტრიის ტიპ-ბუნდესლიგა ქართველთა „შტურმისა“ და ვენის „რაპიდის“ მატჩით გაიხსნა.

გრაცელებმა 3:1 იმარჯვეს.

გიორგი შაშიაშვილმა და გრაცელთა ახალწვეულმა ილია კანდელაკმა სრულად ითამაშეს. შაშიაშვილმა 63-ე წუთზე ყვითელი ბარათიც მიიღო.

გრაცელთაგან გოლები სონლეიტნერმა, ჰაასმა და სტანკოვიჩმა გაიტანეს.

ბახა შალამბერიძე

არზიანის გოლი ჯიქიას გოლია

გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რომ ბრიანსკის „დინამოსა“ და მახაჩყალის „ანჟის“ (1:5) მატჩში გოლები ზურაბ არზიანმა და მიხეილ აშვეთიამ გაიტანეს — ასეთი იყო თავდაპირველი ინფორმაცია, თუმცა შემდეგ გაასწორეს.

არზიანის გამთანაბრებელი ჟოსანს გაუტანია, ჟოსანის მეხუთე კი — რევაზ ჯიქიას, რომელმაც გოჩა ხოჯავას პასით იხეირა. ხოჯავამ ყვითელი ბარათიც მიიღო.

ვალერი აბრამიძემ და გიორგი ნავალოვსკიმ სრულად ითამაშეს, არზიანი 61-ე წუთზე შეცვალეს, აშვეთიას 75-ე წუთზე ჯიქია ჩაენაცვლა, ხოჯავა კი მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა.

89 წუთი დაჰყო მოედანზე ბრიანსკელმა პაატა ჯინჭარაძემ, რომელმაც რუსული პრესის ცნობით, მხრის ტრავმით ითამაშა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მჟავანაძის სრული მარჯვენა

ოდესის „ჩერნომორეცმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა, ამჯერად პირველლიგელ „ოლექსანდრიასთან“ და 1:1-ზე გაეყარა.

ოდესელთა შემადგენლობაში სრულად ითამაშა კახა მჟავანაძემ, რომელიც მარჯვენა მცველის პოზიციაზე ირჯებოდა.

მოდებაძის ორი თვე



უგუნდო ირაკლი მოდებაძემ ხრტილის ოპერაცია გაიკეთა და მინიმუმ ორი თვე დაისვენებს. შარშან ნოემბრიდან მოყოლებული, მოდებაძე არც ერთ კლუბში აღარ ყოფილა და ისევ მოცდა მოუწევს.

„ოპერაცია გერმანიაში უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ვიზის აღება გაჭიანურდა და კიევში გავფრინდი. იქ გავიკეთე ოპერაცია, ახლა კი საქართველოში ვარ. ძალიან გამაწამა ამდენმა მკურნალობამ და ალბათ ზამთრისკენ გამოვნახავ ახალ კლუბს“ — გვითხრა ირაკლიმ.

ილია ნანოგაშვილი

კვიპროსის ნაკრებელი დოპინგზე ჩავარდა

„აპოლონისა“ და კვიპროსის ნაკრების 28 წლის მცველი ხრისტოს თეოფილუ დოპინგ-ტესტზე ჩავარდა და ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოქტომბერში საქართველოს ნაკრებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ვერ ითამაშებს.

თეოფილუმ თავი გაიმართლა, დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი იმიტომ აჩვენა, რომ ტრავმისგან განსაკურნად ვიღებდი პრეპარატებსო, თუმცა კვიპროსის ფეხბურთის ასოციაციამ ეს არ შეისმინა — ფეხბურთელს ექიმებისთვის უნდა ეცნობებინაო.

ილია ნანოგაშვილი

ელიზბარაშვილი ლაციოში ჩავა



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და „ნორჩი დინამოელის“ ნახევარმცველი ლევან ელიზბარაშვილი ალბათ იტალიური „ლაციოს“ ასაკობრივ გუნდში ჩაირიცხება.

msofsport.com-ის ცნობით, ელიზბარაშვილი „ლაციოში“ გასინჯვაზე იყო და მწვრთნელებს თავი მოაწონა.

ქართველი ფეხბურთელი რომში ერთი თვის შემდეგ უნდა ჩავიდეს და „ლაციოს“ 1992 წელს დაბადებულთა გუნდს შეუერთდება.

კახა შალამბერიძე



ერთი კვირის წინ უკრაინული „დნიპროს“ ქართველმა ფეხბურთელებმა სანდრო კობახიძემ და ჯაბა კანკავამ ვარჯიში განაახლეს. მათ მხრის ტრავმა ჰქონდათ და ორივემ ოპერაცია გაიკეთა გერმანიაში. ახალგამოჯანმრთელებული ქართველები უკრაინულმა ტელევიზიამ მიიწვია და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ...

ქართველი ბიჭების უკრაინული ყოფა

კობახიძე და კანკავა ფეხბურთზეც და სხვაზეც

— **როგორ განწყობაზე ხართ?**

კობახიძე: მშვენიერზე.

კანკავა: ყველაფერი კარგადაა!

— **რატომ გამოტოვეთ „დნიპროს“ შეკრება?**

კობახიძე: ორივემ მხრის ოპერაცია გავიკეთეთ და ახლა რეაბილიტაციის პროცესს გავდივართ.

კანკავა: ზუსტად ერთნაირი ტრავმები გვქონდა...

— **ერთდროულად გაიკეთეთ ოპერაცია?**

კობახიძე: დიახ. სამი საათის ინტერვალში, ჯერ ჯაბამ, მერე — მე.

კანკავა: იმედი გვაქვს, სამ კვირაში, მწყობრში ვიქნებით.

— **მოდით, გასული სეზონი გავიხსენოთ. როგორ ფიქრობთ, რა გამოუვიდა „დნიპროს“ და რა — არა?**

კანკავა: პირველი წრე ფრიადზე ჩავატარეთ, მეორე კი...

კობახიძე: ჩემი აზრით, გუნდში ერთდროულად ექვსი ახალი ფეხბურთელი რომ თამაშობს, უცბად ყველაფრის დალაგება ძნელია. მგონია, რომ მომავალ სეზონში ყველაფერი გამოგვივა.

— **ამჟამად გუნდში როგორი განწყობაა?**

კობახიძე: მშვენიერი.

კანკავა: ყველა ცდილობს, ბოლომდე დაიხარჯოს და ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი.

— **ევროპის ჩემპიონატის ყველა თამაში ნახეთ? ყველაზე მეტად რომელი გუნდები მოგეწონათ?**

კობახიძე: მე ძალიან დამამახსოვრდა ჰოლანდია — რუსეთი. ისე, მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ესპანეთს ვქომაგობდი და მაინც, რუსეთმა გამაოცა...

კანკავა: ჯგუფურ თამაშებში ძალიან მომეწონა ჰოლანდია.

— **და რა დაემართა რუსეთთან მატჩში?**

კანკავა: ძალიან გახსნილად ითამაშეს, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, ზედმეტი მოუვიდათ...

კობახიძე: რუსებს ნამდვილად მაღალი დონის მოთამაშეები ჰყავთ.

— **ვის გამოარჩევთ?**

კობახიძე: ჟირკოვს. ასევე არშავინს — ბრწყინვალე თავდამსხმელია.

კანკავა: თურქეთმაც გამაკვირვა.

— **იმით, რომ ბოლო წუთებზე გაჰქონდა გოლები?**

კანკავა: არა, უბრალოდ, ისინი ბოლო წუთებში განსაკუთრებულად დალაგებულად თამაშობდნენ და სწორედ ეს უნდა ისწავლო მათგან.

კობახიძე: მართლაც, ისინი ყოველთვის ასე თამაშობენ, ბოლო წუთებამდე არ კარგავენ კონცენტრაციას.

— **შეგიძლიათ, მოგვიყვეთ თქვენზე? როგორ დაიწყეთ ფეხბურთის თამაში?**

კობახიძე: 8 წლის ვიყავი, როცა სერიოზულად დავიწყე ვარჯიში, თუმცა ჩემი მშობლები ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ...

— **რატომ?**

კობახიძე: არ ვიცი. ალბათ, მათ უნდოდათ, სხვა რამე მესწავლა, მაგრამ მერე ამას შეურიგდნენ და ყველანაირად მხარში ამომიდგნენ, განსაკუთრებით მამაჩემი.

— **მამას უყვარს ფეხბურთი?**

კობახიძე: არ უყვარდა, თუმცა ახლა ალბათ უყვარს.

კანკავა: უკვე 14 წელია, ფეხბურთით ვცხოვრობ. მშობლები არ იყვნენ წინააღმდეგნი, ფეხბურთელი ვყოფილიყავი და ყველაფერში მეხმარებოდნენ, დღემდე ძალიან განიცდიან ჩემს გამო. მყავს უფროსი ძმა, ისიც ფეხბურთელი იყო, მაგრამ მერე თავი დაანება, სასწავლებელი დაამთავრა და მუშაობს.

— **და როგორი გოგონები მოგწონთ?**

კობახიძე: ყველა ქალი სხვადასხვანაირია, ყველა თავისებურად საინტერესოა.

— **ყველაზე მეტად ქალის რა თვისებები მოგწონთ? ერთი სიტყვით, როგორი უნდა იყოს, რომ სანდრო კობახიძეს და ჯაბა კანკავას მოეწონოს?**

კობახიძე: არ უნდა იყოს სულელი.

— **როგორ გაატარეთ შუასასეზონო პერიოდი?**

კობახიძე: უკვე ნახევარი წელია, დნეპროპეტროვსკში ვარ და ძალიან მომენატრა საქართველო, ჩემი მშობლები...

კანკავა: ყველაზე კარგი დასვენება საქართველოშია.

კობახიძე: ასეა, საქართველოში ოჯახთან ერთად ყველაზე უკეთ ვისვენებ.

— **თუ გაქვთ საქართველოს გარდა საყვარელი ადგილები დასასვენებლად?**

კობახიძე: არაერთხელ ვისვენებდი თურქეთში, იქაც ძალიან კარგია.

კანკავა: ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ სახლს ვერაფერი შეედრება.

— **მანქანებში რამე პრიორიტეტი გაქვთ?**

კობახიძე: რა თქმა უნდა.

კანკავა: „მერსედესი“!

კობახიძე: ვეთანხმები ჯაბას, გერმანელებს საუკეთესო მანქანები ჰყავთ, უმაღლესი ხარისხის.

კანკავა: ახლა „მერსედესი“ მყავს, თუმც მანამდე მეგონა, რომ BMW სჯობდა ყველას. მაგრამ რაც „მერსედესზე“ გადავედი, აზრი შემეცვალა.

— **დნეპროპეტროვსკში საყვარელი ადგილები გაგაჩნიათ?**

კობახიძე: ქართული რესტორნები, ოღონდ სერიოზული მხოლოდ ორია. ეს ქალაქი ძალიან მოგვწონს, ევროპულია, ლამაზია.

კანკავა: ოღონდ ქართული ადგილები ცოტაა.

— **ცხადია, საყვარელი კერძიც ქართული გეჭნებათ...**

კანკავა: ხინკალი!

კობახიძე: ხინკალი და მწვადი, მხოლოდ ნამდვილი ქართული.

— **დნეპროპეტროვსკში ასეთი ქართული მწვადი გაგისინჯავთ?**

კობახიძე: სამწუხაროდ, არა. აქაც არ არის ცუდი, თუმცა ქართულს ვერ შეედრება. ალბათ ქართულად გაკეთება არ იციან.

— **როგორი დამოკიდებულება გაქვთ კინემატოგრაფიასთან, როგორი ფილმები გიყვართ?**

კანკავა: „მიმინო“. იცით ასეთი ფილმი?

— **რა თქმა უნდა, ვახტანგ კიკაბიძე.**

კობახიძე: საერთოდ, ძველი საბჭოური ფილმები კარგია. ძალიან მომწონს „კავკასიელი ტყვე ქალი“.

— **დაბოლოს, რას ეტყვით თქვენს გულშემატკივრებს?**

კობახიძე: ჩვენ ყოველთვის მადლიერნი ვართ იმ გულშემატკივრების, რომლებიც სტადიონზე მოდიან და მხარს გვიჭერენ. დაგვჯერეთ, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ მოვიგოთ.

კანკავა: ეს ფეხბურთია, ჩვენ მუდამ ვცდილობთ, კარგად ვითამაშოთ და მოვიგოთ, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოგვდის. მაგრამ ძალას არასოდეს დავიშურებთ. ახალი სეზონისთვის „დნიპროს“ ყველა ფეხბურთელი შეეცდება, მაქსიმუმს მიაღწიოს.

ორმილიარდიანი თაღლითობა

დანიელ გუისა

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული კლუბი „ფენერბაჰჩე“ გახდა, რადგან მოულოდნელად „მანჩესტერს“ გაუსწრო.

თურქული კლუბის აქციათა საერთო ფასი ორ მილიარდ დოლარს გასცდა, „მანჩესტერის“ კი მილიარდ 800 მილიონია.

აქამდე „ფენერი“ 25 უმდიდრესთა შორისაც კი არ იყო, რომელთა სიაც ჟურნალმა „ფორბსმა“ აპრილში გამოაქვეყნა, მაგრამ სტამბოლის საფონდო ბირჟაზე კლუბის აქციები უეცრად გაძვირდა.

„ფასის ასეთი ზრდის მიზეზები არ არსებობდა და ინვესტორები ეჭვობენ, რომ აქ რაღაც თაღლითობაა“ — წერს თურქული გაზეთი „საბაჰ“.

ბოლო თვის განმავლობაში „ფენერბაჰჩეს“ აქციები თითქმის 84 პროცენტით გაძვირდა და შემოსავლების ოდენობით უდიდეს თურქულ კომპანიებს (მათ შორის „თურქიშ აიარლაინსს“) გაასწრო.

სტამბოლის საფონდო ბირჟის ექსპერტები და ფინანსური ბაზრის მაკონტროლებლები დაინტერესდნენ ამ უცნაურობით და გამოძიება დაიწყეს.

„ფენერის“ შემდეგ ყველაზე შემოსავლიანი თურქული კლუბი „ტრაბზონსფორია“, რომლის საბაზრო ღირებულება 318 მილიონი დოლარია.

მესამეზეა „გალათასარაი“ (229), მეოთხეზე კი „ბეშიქთაში“ 86 მილიონით.

ახლა კი წმინდა საფეხბურთო ამბებზეც ვთქვათ. „ფენერბაჰჩემ“ ამ ზაფხულს ნაფდად იყოჩაღა. ევროპის ჩემპიონი მწვრთნელი ლუის არაგონესი წაიყვანა და დანიელ გუისაც ხელს გააყოლა.

„მალიორკას“ ფორვარდში, რომელმაც ევრო 2008-ზე ორი გოლი შეაგდო, 15 მილიონი ევრო გადაიხადეს. 27 წლის ფეხბურთელმა თურქულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გუისა წინა სეზონში პრიმერა-დივიზიონის მთავარმეგოლე (27) გახდა. მისი კარიერა „მალიორკაში“ დაიწყო, მერე „უელვა“, „მურსია“ და „ხეტაფე“ მოიარა და ისევ კუნძულზე დაბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ ლუის არაგონესმა ზიკო შეცვალა, „ფენერი“ კი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრულ მტკ-ს შეხვდება.

ვაჟა ხუციშვილი

როგორ უსტვენდა არაყი



ნიჟიერად გალეშილმა ფიფას არბიტრმა სერგეი შმოლიკმა „ვიტებსკი“ — „ნაფტანის“ მატჩი გმირულად იმსაჯა და მოედნიდან მხარზე გადაკიდებული ხურჯინივით გაიტანეს.

ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციამ მსაჯთა კომიტეტს მოსთხოვა, რომ ნაქეიფარი და გმირულად დაცემული კაცის ამბავი გამოიძიოს.

ფეხბურთის და არყის გულშემატკივრებმა უმალ იყნოსეს, რომ შმოლიკის სასტვენიდან „პშენიჩნაიას“ შეუდარებელი, ორმოცგრადუსიანი არომატი იფრქვეოდა.

გალეშილი მსაჯი მოედანზე მოწამლული თაგვივით დაბორიალებდა, თამაშის დასრულებისთანავე კი ხელით გაიტანეს.

„პრესბოლის“ ცნობით, სერგეი შმოლიკი შესამოწმებლად ექიმთან შეიყვანეს, სისხლში ალკოჰოლის ოდენობა დაუდგინეს და 2,6 პრომილი აჩვენა (2,5-ის ზემოთ კაცი უკვე ქანაობს).

გაირკვა, რომ თამაშამდე ორი დღით ადრე შმოლიკს წელი ასტკივებია და მატჩზე უარის თქმას აპირებდა, მაგრამ მაინც იმსაჯა.

ექიმმა დაადასტურა, რომ მას მართლაც ჰქონდა წელის კუნთთან დაკავშირებული პრობლემა.

ვაჟა ხუციშვილი

საფეხბურთო ლეგენდები

გიორგი კაკაბაძე

ლეგენდა №45

დერეკ დული

მან 63 მატჩში 64 გოლი გაიტანა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ...

1929 წლის 13 დეკემბერს დაბადებულმა დერეკ დულიმ პროფესიული კარიერა „ლინკოლნ სიტიში“ 1946 წელს დაიწყო. თუმცა ამ გუნდის შემადგენლობაში მან მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა, მერე კი თავისი ქალაქის კლუბ „შეფილდ უენსდეიში“ გადაბარგდა, რომლის ღირსებაც 61-ჯერ დაიცვა და 62 გოლი შეაგდო. სხვათა შორის, მისი ბავშვობის ერთ-ერთი მწვრთნელი პოპ ბენეტი დულის ცენტრალურ ნახევარმცველად უპირებდა გამწესებას, მაგრამ დერეკმა დაიკონა, ცენტრფორვარდი უნდა ვიყოო და თავისი გაიტანა კიდეც.

დულის კარიერა სამწუხარო ინციდენტის გამო 1953 წლის 14 თებერვალს დასრულდა. „პრესტონთან“ მატჩისას, მეტოქის მეკარე ჯორჯ ტომპსონთან შეჯახებისას დულიმ ფეხი მოიტეხა. გაშუქების მერე გამოჩნდა, რომ მას ორმაგი მოტეხილობა ჰქონდა. რამდენიმე ღლეში, როცა იგი ჰოსპიტალის დატოვებას აპირებდა, ექთანმა შენიშნა, რომ ფეხის თითებზე შეხებისას დულის რეაქცია არ ჰქონდა. თაბაშირის მოხსნის შემდეგ, გაირკვა, რომ მას ინფექცია შეეჭრა, განგრენა განუვითარდა და სამწუხაროდ, ფეხის ამპუტაცია გარდაუვალი გახდა.

1971 წლის იანვარში იგი „უენსდის“ მწვრთნელად დანიშნეს, მაგრამ ეს საქმე დულის ისევე კარგად არ გამოუვიდა, როგორც თამაში. არცთუ წარმატებული სეზონების შემდეგ, 1973 წლის 24 დეკემბერს იგი მოხსნეს. ამან იგი ისე გაანაწყენა, რომ თითქმის 20 წელი „უენსდის“ სტადიონ „ჰილსბოროზე“ ფეხი აღარ დაუდგამს.

მალევე მან „უენსდის“ თანაქალაქელისა და მთავარი მეტოქისგან „შეფილდ იუნაიტედისგან“ მიიღო წინადადება, რომელსაც დათანხმდა და კლუბის კომერციული მენეჯერი გახდა. „იუნაიტედში“ მან კიდევ არაერთ თანამდებობაზე იმუშავა, მათ შორის, თავმჯდომარედაც.

1992 წელს იგი ბოლოს და ბოლოს დათანხმდა „ჰილსბოროზე“ დაბრუნებას და „უენსდისა“ და „იუნაიტედის“ დერბის დაესწრო. სტადიონზე შეკრებილი ორივე კლუბის ფანები მას ფეხზეწამომდგარნი ოვაციებით შეხვდნენ.

დული 1952 წელს დაქორწინდა, ექვსი თვით ადრე, სანამ ფეხს მოჰკვეთდნენ. მისმა მეუღლემ სილვიამ ორი შვილი გააჩინა, ვაჟი მარტინი და ქალიშვილი სიუზენი. მოგვიანებით მას ოთხი შვილიშვილი გაუჩნდა, რომელთაგან ერთ-ერთს დერეკი დაარქვეს.

იგი 2008 წლის 5 მარტს საკუთარ სახლში გარდაიცვალა. ცხოვრებისა და კარიერის მანძილზე, დულის კიდევ არაერთ თანამდებობაზე უმუშავია და მრავალი აღიარება თუ ჯილდო მოუპოვებია, როგორც სათამაშო კარიერის მსვლელობისას, ასევე მის მერე. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც „შეფილდ უენსდისა“ და „შეფილდ იუნაიტედის“ ისტორიაში, აგრეთვე ზოგადად ინგლისურ საფეხბურთო სამყაროში.

ლეგენდა №46

ბებერი მაესტრო

1886 წლის 2 მარტს ტურინში დაბადებული ვიტორიო პოცო დღემდე ერთადერთი მწვრთნელია, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატი ორჯერ მოუგია. მან ეს იტალიასთან ერთად 1934 და 1938 წლებში შეძლო. პოცომ, „სკუადრა აძურასთან“ ერთად კიდევ მრავალ წარმატებას მიაღწია, მათ შორის, მან ნაკრებს 1928 წლის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს, ხოლო 1936 წლის ოლიმპიადაზე ოქროს მედლები მოაგებინა. მის ხელში 1934 წლის დეკემბრიდან 1939 წლამდე იტალიას წაუგებელი სერია ჰქონდა.

„ილ ვეკიო მაესტრო“ ანუ „ბებერი მაესტრო“, როგორც პოცოს ეძახდნენ, ფეხბურთს თავადაც თამაშობდა და უყვარდა ინგლისი, სადაც საკმაო გამოცდილება მიიღო. მწვრთნელობა მან 1912 წელს დაიწყო, როცა სათამაშო კარიერა დასრულა და „ტორინოს“ თავკაცი გახდა.

ნაკრები მან 1929 წელს ჩაიბარა და პოსტზე 1948 წლამდე დარჩა. მის ხელში „სკუადრა აძურა“ ძალიან შემტევ ფეხბურთს თამაშობდა. იტალია პოცომ 93-ჯერ გაიყვანა მინდორზე და აქედან 65 მატჩი მოიგო.

პოცოს სახელს უკავშირდება, არაერთი ტაქტიკური სიახლე და ზოგადად საფეხბურთო ნოვაცია. ამ მხრივ 20-იან და 30-იან წლებში ინგლისელი ჰერბერტ ჩეპმენი, ავსტრიელები უგო მაიზელი და კარლ რაპინი, „ბებერ მაესტროსთან“ ერთად გამორჩეული ფიგურები გახლდნენ.

პოცოს იდეა იყო „სკუარა აძურაში“ „ორიუნდების“ ანუ უცხოეთში დაბადებული იტალიელი ფეხბურთელების მოწვევა და ათამაშება. მან ეს წარმატებით განახორციელა და „ორიუნდები“ გვარიანად დაეხმარნენ ტიტულების მოგებაში.

იგი პრინციპულობით, დისციპლინის სიყვარულითა და განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა. საქმიანობაში მას ბენიტო მუსოლინისთან და გენერალ ჯორჯო ვაკაროსთან კარგი ურთიერთობა ეხმარებოდა. თუმცა, როგორც ამბობენ, თავად პოცო ფაშიზმის დიდი მიმდევარი არ გახლდათ.

ჭკუით, ცბიერებითა და ნიჭით გამორჩეული „ბებერი მაესტრო“ წარმატებებითა და აღიარებებით სავსე კარიერის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტი გახდა.

იგი 1968 წლის 21 დეკემბერს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ლეგენდა №47

ბილი მშვენიერი

უილიამ არტურ „ბილი“ ბონდსი ინგლისურ და მთლიანად მსოფლიო ფეხბურთში საკმაოდ ცნობილი ფიგურაა, როგორც მოთამაშის, ასევე მწვრთნელის რანგში. შესაძლოა, ის სასწაულებს არ ჩადიოდა, მაგრამ თავისი გამორჩეული სტილი ჰქონდა და ფანების სიყვარულით სარგებლობდა.

ბონდსის სახელი, პირველ რიგში, ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ კლუბ „ვესტ ჰემს“ უკავშირდება, რომელშიც მოთამაშის რანგში 21, ხოლო სამწვრთნელო კარიერისას 6 წელი გაატარა. „ჩაქუჩების“ ძირითადი გუნდის მაისურა მას 793-ჯერ მოურგია. 1974-1984 წლებში კი, 1946 წლის 17 სექტემბერს ვულვიჩში დაბადებული ბილი ლიდერის თვისებების ქონის გამო, გუნდის კაპიტანიც გახლდათ.

ბონდსი ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი იყო, უყვარდა ვარდნები, ორთაბრძოლები და ძალის დემონსტრირება. თუმცა როცა ბურთს ფლობდა, ძალიან ჭკვიანურად თამაშობდა და კლუბისთვის დიდი სარგებელი მოჰქონდა. სათამაშო სტილის გამო მას „ბილი მშვენიერი“ შეარქვეს. იგი თამაშობდა როგორც დაცვაში, ასევე ნახევარდაცვაში.

ცოტათი განსაკუთრებული

გამარჯობა, მე ჯონ ტერი ვარ!

ინგლისში ასე ხუმრობენ: მართალია, ლუიშ ფელიპე სკოლარი დახვეწილ ჯინ ჰეკმანს (ამერიკელი მსახიობია) ჰგავს, მაგრამ გარეგნობამ არ უნდა მოგვატყუოს — ბრაზილიელი ნამდვილი მებრძოლიაო. ასე და ამგვარად, „ჩელსიმ“ დიდი ფილის პრეზენტაცია მოაწყო. ბრაზილიელმა მწვრთნელმა ხანგრძლივ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობა სრულად დააკმაყოფილა.

საინტერესოა, რომ პრესკონფერენციაზე წამოჭრილ თემათაგან ერთ-ერთი მთავარი მისი ხასიათი გახლდათ. „სარბიელმა“ ამ დღეებში სკოლარის ბიოგრაფია სრულად წარმოგიდგინათ, ასე რომ, მკითხველისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ევრო 2008-ის შესარჩევ შეხვედრაში, იმხანად პორტუგალიელთა სათავეში მდგომი ბრაზილიელი სერბ ფეხბურთელს საჩხუბრად მოედანზე შეუვარდა, რის გამოც უეფასგან სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. და როდესაც ჟურნალისტებმა „ჩელსის“ ახალ თავკაცს უთხრეს, რომ რამდენიმე წლის წინ, პორტუგალიელმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ზუსტად ასე ისკუპა „ცხელი წყლით სავსე ვედროში“, მას არ შეშინებია: მაინც და მაინც კარგი ქცევის პირობას ვერ დაგიდებთო, განუცხადა აუდიტორიას.

„ადამიანს, რომელსაც ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობის გამოცდილება აქვს, ზეწოლის ამბავი კარგად მოეხსენება — განმარტა სკოლარიმ — ასე რომ, მე „ჩელსის“ გაძღოლისთვის მზად ვარ. და გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ, მე ბუნებით მებრძოლი კაცი ვარ და ამ ცხოვრებაში საკუთარი პრინციპების დასაცავად ვიბრძვი.

იგივე შემიძლია ვთქვა ჩემს გუნდზე. შესაძლოა, ბევრი რთული დროება გადაგვხდეს, მაგრამ, ბრძოლისა და თავდადების გარანტიას ამთავითვე გაძლევთ. დღემდე, ყველაფრისთვის, რაც კი მიზნად დამისახავს, მიმიღწევია. ამ სეზონში, შესაძლოა, სიძნელეებს გადავაწყდეთ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ საბოლოოდ ჩანფიქრს ავასრულებთ. ყველგან, სადაც კი მიმუშავია: საუდის არაბეთში, „გრემიოსა“ თუ „პალმეირასში“, ერთი და იგივე ისტორია მეორდებოდა. საბოლოოდ ჩვენ ავდიოდით იმ მწვერვალზე, რომლის დალაშქვრასაც თავიდანვე ვისახავდით მიზნად“.

ინგლისური პრესა წერს, რომ მებრძოლი სული სკოლარის „ჩელსის“ გაძღოლაში ფრიად წაადგება და იხსენებს ბრაზილიელის წინამორბედ ავრაამ გრანტს, რომელიც თანამდებობიდან მხოლოდ იმიტომ მოხსნეს, რომ სამ შეჯიბრებაში მხოლოდ და მხოლოდ მეორე ადგილი მოიპოვა.

საინტერესოა, თუ რით იწყებს დიდი ფილი „ჩელსიში“ მუშაობას. აი, რით: ლონდონელთა გუნდში დღეისთვის 32 ფეხბურთელი ირიცხება, სკოლარი კი ამ ხალხის 24-მდე შემცირებას აპირებს და ამასთან საჯაროდ აცხადებს, რომ მილიონერი ფეხბურთელების ჩივილი „და პროტესტი მის გულს არ მიეკარება.

„დღეისთვის ჩემს განკარგულებაში 32 ფეხბურთელია, მაგრამ ვფიქრობ, დროა შემადგენლობა შეიცვალოს. ვიღაც წავა და ვიღაც მოვა. სამ კაცს სულაც სხვა გუნდები გვთხოვენ.

მოკლედ, მინდა 23-24-25 ფეხბურთელთან ვიმუშავო. ეს არის მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც მე გუნდში მჭირდება. დანარჩენებისა და მათი კონტრაქტების ამბავს კი მე ნუ მკითხავთ, ეს სფერო არ მაინტერესებს. კონტრაქტები მე არ მაღელვებს, ეს ფეხბურთელების საქმეა“.

ასე და ამგვარად, „ჩელსიში“ სკოლარის რეჟიმი ძალაში შედის, თუმცა სიმკაცრესთან ერთად „ლურჯების“ ახალმა მწვრთნელმა საკმაოდ გულკეთილი კაცის შთაბეჭდილებაც დატოვა. მან პრესკონფერენციაზე სიცილით მოყვა კაპიტანთან, ჯონ ტერისთან პირველი შეხვედრის ამბავი:

„გუშინ ის ჩემს ოთახში შემოვიდა და მითხრა: გამარჯობათ, მე ჯონ ტერი ვარ... მე ვუპასუხე: ვიცი.

ახლა ასეა: ჩვენი კაპიტანი ტერია, ვიცე-კაპიტანი კი ლამპარდი, მაგრამ ფეხბურთელებს შორის მეტი კაპიტნები გვჭირდება. თუმცა, როგორც ლიდერი და როგორც ფეხბურთელი, ჯონი ძალიან მომწონს“.

მოგეხსენებათ, ბოლოხანს ევროპულ პრესაში დიდი მითქმა-მოთქმაა „ჩელსის“ კოტდივუარელი თავდამსხმელის დიდიე დროგბას „მილანში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, სკოლარის ამ საკითხზეც ჰკითხეს. მან უპასუხა: „დროგბა 100 პროცენტით შედის ჩემს გეგმებში. მეტიც, 200 პროცენტით. მე მისი თამაშის სტილი ძალიან მომწონს. შარშან თუ შარშანწინ, ფიფას გამოკითხვაში, მე ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში დავასახელე. თუ არ ვცდები, რამდენიმე წლის წინ ასევე დავასახელე ჯონ ტერი და ძალიან მიხარია, რომ ახლა ორივე ჩემთანაა. მინდა გითხრათ, რომ დროგბა ვარჯიშზე ჩვეულებრივ მოვიდა, მე მას ველაპარაკე და ჩვენ ყველაფერი გავარკვიეთ. სხვათა შორის, ადრე მას მუხლზე ჰქონდა პრობლემა, ახლა კი აღარ აქვს. მოკლედ, მან საკმაოდ კმაყოფილი კაცის შთაბეჭდილება დატოვა“.

და რა მიზანი დაუსახა სკოლარის „ჩელსის“ მპატრონემ, ჩუკოტკის ყოფილმა გუბერნატორმა რომან აბრამოვიჩმა? ამაზე ბრაზილიელი მწვრთნელი არაფერს ამბობს, თუმცა ინგლისური პრესის აზრით, აქ ყველაფერი ნათელია — სკოლარის, მაურინიუს მსგავსად, ყველაფერი უნდა!

„ნამდვილად ვერ გეტყვით, გავხდებით თუ არა ჩემპიონები, მაგრამ მე შეჯიბრებებს ვერ დავანწილებ. ვერ ვეტყვი ჩემს მოთამაშეებს, რომ ახლა ეს შეჯიბრება უნდა მოვიგოთ, მერე სხვა და ასე შემდეგ. მეც განსაკუთრებული ვარ? ჰო, რა თქმა უნდა, ოღონდ ჩემი მეგობრებისთვის, ოჯახის წევრებისა და ქვეყნისთვის. ვარ თუ არა განსაკუთრებული როგორც მწვრთელი... დავიცადოთ და ვნახოთ. ალბათ, ცოტათი ვარ“.

პაპუნა კვედია

ბოატენგი ჰალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგაში პირველად აღზევებულმა „ჰალ სიტიმ“ ბრაზილიელი ჯოვანის შეძენის შემდეგ „მიდლსბროს“ ნახევარმცველი ჯორჯ ბოატენგაც გადმოიბირა.

„კლუბები უკვე შევთანხმდით. ახლა ფეხბურთელთან დაგვრჩა მოსაგვარებელი კონტრაქტის პირობები“ — განაცხადა „ჰალის“ მთავარმა მწვრთნელმა ფილი ბრაუნმა.

ჯენოამ გასბარონი იყიდა

იტალიურმა „ჯენოამ“ კონტრაქტი გააფორმრა „პარმას“ ნახევარმცველ ანდრეა გასბარონისთან. 26 წლის ფეხბურთელმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და გუნდში 2012 წლამდე დარჩება.

გასულ სეზონში ანდრეამ სერია A-ს 26 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

ლამეი არმინიაში გადავიდა

„დუისბურგის“ მცველი მარკო ლამეი „არმინიაში“ გადავიდა. ბილეფილდელებმა 28 წლის ფეხბურთელთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

წინა სეზონში ჰოლანდიელმა ბუნდესლიგის 25 თამაშში ერთი გოლი გაიტანა.

ნოიერი დაშავდა

„შალკეს“ გოლკიპერი მანუელო ნოიერის ისე დაშავდა, რომ ვარჯიშს მხოლოდ სექტემბრიდან თუ შეძლებს — იტყობინება გელზენკირხენელთა ოფიციალური ვებგვერდი. შეგახსენებთ, რომ 22 წლის ნოიერი გერმანიის ეროვნული ნაკრების კანდიდატი და ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი მეკარეა.

ნანტი კლასნიჩს შეუთანხმდა

ბრემენის „ვერდერის“ თავდამსხმელი ივან კლასნიჩი, სავარაუდოდ, ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს ფრანგულ „ნანტთან“.

ხორვატიის ნაკრების ფორვარდი ახლა თავისუფალი აგენტია და მის გეგმებში „მუსიკოსების“ შემადგენლობაში დარჩენა არ შედის.

როგორც sky sport-ი იტყობინება, კლასნიჩით ინგლისური „უიგანიც“ არის დაინტერესებული.

ოლიჩს დარჩენა უნდა

ხორვატიის ნაკრების და გერმანული „ჰამბურგის“ თავდამსხმელმა ივიცა ოლიჩმა „ჰამბურგში“ დარჩენა გადაწყვიტა. სავარაუდოდ, მის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია მეუღლის ორსულობამ, რომელიც უკვე მესამე ბავშვს ელოდება.

პოლანსკი ხეტაფელია

„გლადბახის“ 22 წლის ნახევარმცველი იოვენ პოლანსკი თავისუფალი აგენტის სტატუსით „ხეტაფეში“ გადავიდა, გასულ სეზონში გლადბახელთა შემადგენლობაში პოლანსკიმ 53 თამაშში მხოლოდ ერთხელ გამოიჩინა თავი.

გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ესნელებს ოთხწლიან კონტრაქტზე მოუწერა ხელი.

მწვანეებმა მაშადუ ინათხოვრეს

ფრანგულმა „სენტ ეტიენმა“ „პორტუდან“ ერთსეზონიანი იჯარით ნახევარმცველი პაულუ მაშადუ დაიმატა.

„მე ველაპარაკე ელდერ პოშტიგას, რომელიც ამ კლუბში თამაშობდა და მან ძალიან კარგად დაახასიათა „სენტ ეტიენი“ — განაცხადა მაშადუმ.

დიეგოს და რაფინიას პეკინში არ უშვებენ

ბუნდესლიგის კლუბები, „ვერდერი“ და „შალკე“ პეკინის ოლიმპიადაზე დიეგოს და რაფინიას გაშვებაზე უარს არიან, რადგან ამ შემთხვევაში მათ ბუნდესლიგის საწყისი თამაშების გამოტოვება მოუწევთ.

ამავე აზრისაა მიუნხენის „ბაიერნის“ ხალმძღვანელობაც ბრაზილიელი ლუსიოს და არგენტინელი დემიკელესის თაობაზე, რომელნიც, სავარაუდოდ, ოლიმპიადას გამოტოვებენ.

პავლიუჩენკო მილანში?

„მილანი“ შესაძლოა რომან პავლიუჩენკოსთვის ბრძოლაში ჩაერთოს. რა ხანია, „როსონერის“ ფორვარდის შეძენა უნდა, მაგრამ ჯერ ამას ვერ ახერხებს და ამიტომ, გამორიცხული არ არის, მოსკოვის „სპარტაკის“ 26 წლის თავდამსხმელზე გადაერთოს. პავლიუჩენკოს „ბოლონიასა“ და „რომასაც“ უკავშირებენ. იტალიური პრესის ცნობით, „გლადიატორები“ მასში 16-17 მილიონ ევროსაც არ დაიშურებენ.

არჩილ კოგბახიძე

კრიშტიანუ რონალდუ

რაფაელ ნადალი

კრაუჩი და პომპეი გდაწყდა

როგორც ჩანს, პიტერ კრაუჩი პრემიერლიგის ახალ სეზონს „პორტსმუთში“ დაიწყებს. ხანგრძლივი მოლაპარაკება ფეხბურთელსა და კლუბს შორის წარმატებით დამთავრდა და „პომპეის“ მწვრთნელი ჰარი რედნაპი იმედოვნებს, რომ ტრანსფერი ამ კვირის ბოლოს ოფიციალურად გაფორმდება.

იმ დროისთვის უკვე ცნობილი იქნება კრაუჩის სამედიცინო შემოწმების შედეგები. ცნობილია სატრანსფერო თანხის ოდენობაც, 11 მილიონი გირვანქა. 27 წლის კრაუჩს 2001-2002 წლების სეზონში უკვე ჰქონდა „პორტსმუთში“ თამაშის სიამოვნება.

რა თქმა უნდა, მერსისაიდელთა თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა თავისი წუხილი გამოთქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით: „პიტერი ნამდვილი პროფესიონალი და, უბრალოდ, კარგი პიროვნებაა და სასიამოვნო იქნებოდა, თუ იგი კიდევ დარჩებოდა „ენფილდზე“. მას ახალი კონტრაქტიც კი შევთავაზეთ, მაგრამ ხანდახან უნდა შეხვიდე მოთამაშის მდგომარეობაში. პიტერს უფრო მეტხანს სურდა მოედანზე ყოფნა, რაც ფერნანდო ტორესის ყოფნისას, რომელიც ახლა ნომერ პირველია, განსაკუთრებით რთული იქნებოდა“.

რაფას გულწრფელობაში ეჭვის შეტანაც შეიძლება, რადგან ამბობენ, კრაუჩის ტრანსფერი მას ხელფეხს გაუხსნის, რომ „ვალენსიადან“ დავიდ ვილია გადმოიბიროს, ხოლო „ასტონ ვილადან“ — გარეთ ბერიი.

არჩილ ძოწახიძე

ყურმოკრული, მაგრამ საინტერესო ამბები

„უიმბლდონის“ გამარჯვებულ რაფაელ ნადალს მისთვის ერთი სასიამოვნო ამბავიც სცოდნია. საქმე ის არის, რომ ნადალი, რომლის ბიძა, მიგელ ანხელი 1991-1999 წლებში „ბარსელონას“ ფეხბურთელი გახლდათ და კატალონიელთა შემადგენლობაში 208 მატჩი აქვს ჩატარებული, „რეალის“ თავგადაკლული ფანია და ერთი სული აქვს, „სამეფო თეთრების“ შემადგენლობაში პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ იხილოს. ჰოდა, როგორც ნადალმა თქვა, მადრიდული კლუბის პრეზიდენტ ხუან რამონ კალდერონს მისთვის უთქვამს, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ რონალდუს გადმოყვანა კარგა ხნის მოგვარებული ამბავია, შენ ამაზე ნუ ნერვიულობო. ცნობისთვის: 22 წლის რაფაელ ნადალი და კალდერონი ერთმანეთს ლონდონში, ნადალის მიერ „უიმბლდონის“ ფინალში როჯერ ფედერერის ძლევიდან 2 საათის შემდეგ შეხვდნენ და, როგორც ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, მათი საუბრისთვის ესპანურის კარგად მცოდნე ადამიანსაც უსმენია.

ჰოდა, ინგლისური ტაბლოიდების ამბავი მოგეხსენებათ, მიდგნენ-მოდგნენ, იმ კაცის გზა-კვალს მიაკვლიეს და რა მოისმინა, მოაყოლეს:

„პრეზიდენტო, სად არის ის კრიშტინუ რონალდუ, რომლის „რეალში“ გადმოყვანასაც ასე ველოდით?“ — უკითხავს ნადალს კალდერონისთვის.

„დაწყნარდი, რაფა, ყველაფერი კარგადაა. ეს საქმე კარგა ხნის მოგვარებული და მტვერმიყრილიც კია“ — უპასუხია სენიორ კალდერონს.

ოფიციალურად კი, ვინ ვინ და, „სარბიელის“ მკითხველმა კარგად იცის, რაც ხდება. ცნობილია, რომ მადრიდელები პორტუგალიელი ვარსკვლავის სანაცვლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 70 მილიონ გირვანქას სთავაზობენ, ინგლისის ჩემპიონი კი კატეგორიულად აცხადებს, რომ რონალდუ არ იყიდება.

თუმცა, ამ ეტაპზე არ არის გამორიცხული, ოფიციალურზე მეტად ყურმოკრულმა ამბებმა უფრო დაგვაინტერესოს. მაგალითად, „სარბიელი“ გუშინ წერდა, რომ რონალდუმ ამსტერდამში კოჭის ოპერაცია გაიკეთა, კლინიკასთან ჩასაფრებულმა ინგლისელმა რეპორტიორებმა კი აი, რა დასტყუეს მავან დევიდ ჯოლის, რომელსაც მამა ჰყავს პორტუგალიელი და რომელიც მამასთან ერთად რონალდუს პალატაში შეიპარა:

„იმედი მაქვს, ესპანეთშიც ისე კარგად ვითამაშებ, როგორც ინგლისში ვთამაშობდი“ — ასე უთქვამს ვარსკვლავს 23 წლის ქომაგისა და მამამისისთვის. პალატაში შეპარულ მამა-შვილს ფეხბურთელი მოუკითხავთ, გაუმხნევებიათ და ასე გამომშვიდობებიან: „აბა, მადრიდში წარმატებებს გისურვებთ.“

ჯოლი: „ეს რომ ვუთხრით, კრიშტიანუმ ფართოდ გაიღიმა და ისე გვიპასუხა, რომ ჩვენზე ამ საქმემ გადაწყვეტილის შთაბეჭდილება დატოვა“.

კრიშტიანუ რონალდუმ უკვე დატოვა ამსტერდამი და ლისაბონს გაეშურა.

პაპუნა ძიდია

პანამა შარდში აბანავეს

პანამის ფეხბურთის ფედერაციამ სარჩელი შეიტანა ფიფაში. საქმე გასულ თვეში სალვადორთან თამაშისას მომხდარ ინციდენტს ეხება. როგორც პანამური მხარე ამტკიცებს, მაყურებლების მხრიდან რასისტულ შეძახილებს ჰქონდა ადგილი, ხოლო ტრიბუნებიდან ბოთლები და შარდით სავსე პაკეტები ცვიოდა. ერთ-ერთი ბოთლი პანამელთა მეკარეს ხაიმე პენედოსაც კი მოხვდა, როცა იგი ბურთის თამაშში შეყვანას აპირებდა. თუმც მსაჯმა თამაშის შეჩერება საჭიროდ არ ჩათვალა.

სალვადორელმა ფეხბურთელებმაც უპატივცემულობა გამოიჩინეს. პანამელთა თქმით, მათ კაპიტანს მატჩის წინ პანამის ემბლემა მიწაზე დაუგდია.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სწორედ ეს მატჩი იყო პანამის ნაკრებიდან მწვრთნელი ალეშანდრე გიმარეში რომ გაუშვეს, რაკი ამ თამაშის წაგებით ნაკრები ბრძოლასაც გამოეთიშა. მის ნაცვლად კი პანამას გარი სტემპელი გაუძღვება, რომელიც ამ ბოლო დრომდე ადგილობრივი „სან ფრანსისკოს“ და პანამის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთი პანამაში უფრო და უფრო პოპულარული ხდება და ნელ-ნელა უტოლდება ამ ქვეყანაში სპორტის ნომერ პირველ სახეობას — ბეისბოლს.

არჩილ ძოწახიძე

მიხაელ შუმახერი

რომარიოს და შუმახერს არ ემურატებათ

რომარიომ და მიხაელ შუმახერმა „მურატა“ უარით გაისტუმრეს. შეგახსენებთ, რომ სან მარინოს ჩემპიონი ბრაზილიელს და გერმანელს „გეტებორგთან“ სათამაშოდ ეპატიჟებოდა. „მურატა“ შვედურ კლუბს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ხვდება მომავალ სამშაბათს.

სამაგიეროდ, „მურატას“ შემადგენლობაში პირველ მატჩში ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი, 42 წლის ალდაირი. იგი გუნდს შარშანაც დაეხმარა საკვალიფიკაციო შეხვედრაში.

„23 მაისს რომარიოს მამა გარდაეცვალა და ალდაირს უთხრა, რომ ახლა არასწორი იქნება ოჯახის მიტოვება და სან მარინოში ფეხბურთის სათამაშოდ წასვლა. ჩვენს ოცნებასთან, რომარიოს ჩამოყვანასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ სამწუხაროდ, არ გამოვიდა“ — განაცხადა „მურატას“ სპორტულმა დირექტორმა დენის კასადეიმ.

დირექტორმა ისიც გაამხილა, რომ მიხაელ შუმახერიც დაპატიჟა, რომელიც ფეხურთის დიდი მოყვარულია და შვეიცარიის პატარა კლუბ „ეშიშანში“ ბურთს აგორებს. ლეგენდარულმა მეფორმულემ „გეტებორგთან“ შეჯიბრი არ ისურვა.

სან მარინოს ზედიზედ ორგზის ჩემპიონი „მურატა“ შარშან პირველ საკვალიფიკაციოში ფინურ „ტამპერესთან“ დამარცხდა.

გაჟა ხუციშვილი



ერთ დროს დიდი ბობო

იტალიურ „ატალანტაში“ შესამედ-მისული კრისტიან ვიერი ბერგამოში ჩავიდა და პირველი პრესკონფერენციაც მოაწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ბობოს ფანები ძალიან ცუდად დახვდნენ.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ რთულ მდგომარეობაში მყოფი ვეტერანი ფორვარდი „ატალანტამ“ შეიფარა. გასულ ზაფხულს კი მოგზაურობის მოყვარულმა ბობომ „ფიორენტინას“ მიაშურა, რამაც „ბერგამასკის“ ფანები ძალიან გააბრაზა და მათ ვიერის მოღალატე უწოდეს.

ამ ზაფხულს კი ბობოს „იებთან“ კონტრაქტი ამოეწურა და, „ატალანტას“ ულტრასების რადიკალური პროტესტის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობამ იგი თავისუფალი აგენტის სტატუსით მაინც დაიმატა.

ბერგამოელთა ოფისში ვიერი პოლიციელების თანხლებით მივიდა, რომლებიც მას გაბრაზებული ფანებისგან იცავდნენ. იქ ბობოს მრავალი ტრანსპარანტი დახვდა, რომელთა შინაარსიც მისი და „ატალანტას“ ხელმძღვანელობისთვის შეურაცხმყოფელი იყო.

ვიერის მართლაც თავდაუზოგავი შრომა და ძალიან კარგად თამაში დასჭირდება, რათა ქომაგების სიბრაზე დააცხროს და მათი გულები დაიბრუნოს.

ჩემს ტრანსფერთან დაკავშირებული პროტესტი არ მაწუხებს. ყველას შეუძლია ის იფიქროს, რაც უნდა, არანაირი პრობლემა არ არის. ვეცდები, კლუბს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო“ — თქვა ბობომ.

ძოძი ძანდელაძი

ვინ უთვალთვალებს აბანოს?

ბუნდესლიგაში დაბრუნებული მიონხენგლადბახის „ბორუსია“ ზღაპრულ სავარჯიშო პირობებშია — გუნდი შიშველ ქალებს დაუმეზობლდა.

სპორტული კომპლექსი, სადაც გლადბახელები დღეში სამჯერ მეცადინეობენ, აბანოს ესაზღვრება — წერს „ბილდი“.

ფეხბურთელების თვალწინ ზოგიერთი მობანავე უფასოდ სტრიპტიზიორობს.

„ბორუსიას“ მწვრთნელი იოს ლუჰუკაი ამტკიცებს: „ბიჭები ისე არიან დატვირთულნი, ქალების სხეულების საჭვრეტად არ სცალიათ. აბანო ვარჯიშში ხელს არ გვიშლის“.

გლადბახელ რობ ფრინდს მრგვალ ბურთზე მეტად სხვა სიმრგვალეები აინტერესებს და „ბილდს“ უთხრა, რომ საბანაოდ ასაკოვანი ქალები დაიარებიან, გრძელფეხა მოდელები კი არ დაულანდავს.

მიუხედავად ამისა, ფრინდი დაკვირვებას განაგრძობს.

„გლადბახზე“ შორს წავიდა „ვოლფსბურგი“, რადგან „მგლების“ თავკაცმა ფელიქს მაგათმა ამას წინათ, გუნდი სავარჯიშოდ ნუდისტურ პლაჟთან წაიყვანა.

„ვარჯიშის სურვილის გასაორმაგებლად“ — ასე ახსნა მწვრთნელმა ექსკურსიის მიზეზი.

ვაჟა ხუციშვილი

ბუდას რაღა უნდა?

ერთი კვირის წინ ლოთარ მათეუსმა ისრაელის პირველი ლიგის გუნდი ნათანიის „მაკაბი“ ჩაიბარა. „ბაიერნის“ ყოფილი კაპიტანი მიუნხენურ გაზეთ „ტაგეს ცაიტუნგთან“ ახალ სამსახურზე, ლუკაშ პოდოლსკისა და განსაკუთრებულ მეგობარზე იურგენ კლინსმანზე საუბრობს

— ერთი კვირაა, რაც ისრაელში ხართ. როგორია პირველი შთაბეჭდილება?

— ვერ ვიტყვი, რომ დიდად სასიამოვნო, რადგან დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ და მეც ვიღლები, ისე კი ყველაფერი კარგად დაიწყო.

— როგორ მიგიღეს და გიჭირთ თუ არა ახალ გარემოსთან შეგუება?

— შეგუებაზე ლაპარაკი ჯერ ნადრევი მგონია. გამთანგველი სიცხის გამო დილაადრიან და გვიან ღამე მიწევს ვარჯიშის ჩატარება. საღამოს 33 გრადუსია, მაგრამ 40-ზე მეტს ჰგავს.

— რა უნდა შეცვალოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში?

— გერმანიაში და მთელ ევროპაში პრობლემა ისაა, რომ ძალიან ცოტა რამ იციან ისრაელზე. ამ ცოდნით კი ქვეყანას ვერ შეაფასებ. ძალიან დიდი გასხვავება „იქ“ და „აქ“ შორის არაა. ისრაელში ძალიან ბევრი დიდებული რესტორანია, ზღვაც აქვეა, ქუჩებში კი ლამაზი მანქანები დადიან. ისევე კარგად შეიძლება ცხოვრება, როგორც გერმანიაში. მედიაში ძალიან ბევრი რამ იწერებოდა ამ ქვეყანაზე ისეთი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

— ტერაქტების შიში არ იგრძნობა?

— მოდით, არ გვინდა ამაზე საუბარი. ეს უკვე ზედმეტია. ახლა ევროპაში უფრო ბევრი ტერაქტი ხდება, ვიდრე ისრაელში.

— არავითარი შიში?

— ამაზე მხოლოდ ის ხალხი ლაპარაკობს, ვინც აქ არასოდეს ყოფილა და ისრაელს არ იცნობს. არ შეიძლება ასე ხელაღებით მიაკერო ვინმეს იარლიყი და განაჩენი გამოუტანო.

— ნათანიაში როგორი სავარჯიშო პირობებია. გერმანულისგან არ განსხვავდება?

— რა თქმა უნდა, განსხვავდება და ამიტომ მაღალ პროფესიონალიზმზე ვერ ვისაუბრებთ. „მაკაბი“ ის გუნდია, რომელიც სულ რაღაც ორი წლის წინ „გაცოცხლდა“. დიდი ტრადიციების კლუბია, მაგრამ ქვედა ლიგებში ხეტიალისას ეს ტრადიციები დაეკარგა. მომავალი წლის გაზაფხულისთვის ახალი სტადიონი გვექნება. ინფრასტრუქტურით და ორგანიზაციის მხრივ, ისრაელის ელიტურ კლუბებს ჯერ ვერ დავეტოლებით. საამისოდ წლები დაგვჭირდება. საქმეები „ბაიერნივით“ აწყობილი არ გვაქვს, მაგრამ არც გვინდა! მთავარია, რომ კარგი სავარჯიშო მოედნებია და მეტი ფუფუნება აუცილებელი არაა.

— სამშობლო არ მოგენატრებათ?

— ამ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი მაქვს და საქმე პატიოსნად უნდა შევასრულო. ამიტომაც ვეძებ აქ სახლს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისრაელში დიდხანს დარჩენას ვაპირებ.

— ევროპის ჩემპიონატზე ექსპერტად მუშაობდით. გერმანიის ნაკრების თამაშს როგორ შეაფასებთ?

— მეორე ადგილი კარგია, მაგრამ მათგან უფრო მაღალი დონის ფეხბურთს ველოდი.

— „ბაიერნიდან“ წასვლის მსუბუქ ლუკაშ პოდოლსკის რას ურჩევდით?

— მას ფეხბურთის თამაში სურს. ბოლო ორი წლის განმავლობაში კი „ბაიერნი“ ამის საშუალებას არ აძლევდა. ძირითად შემადგენლობაში ადგილი მხოლოდ მწვრთნელს, იურგენ კლინსმანს აქვს გარანტირებული და არ მგონია, რომ ასეთივე გარანტია ლუკაშ პოდოლსკისაც ჰქონდეს. ბუნებრივია, ამის გამო კლუბის გამოცვლას ლამობს.

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ასეთ ვითარებაში თვითონ ფეხბურთელმა უნდა გააკეთოს არჩევანი და სხვათა რჩევა-დარიგებას ნაკლებად უგდოს ყური.

„კიოლნი“ კრისტოფ დაუმით ბუნდესლიგაში დაბრუნდა, ამბიცია არ აკლია და პოდოლსკიც მათგან უფრო მეტ სითბოს გრძნობს, ვიდრე „ბაიერნისგან“. ახალგაზრდა ფეხბურთელს და მით უმეტეს ისეთს, როგორიც პოდოლსკია, სითბო და ყურადღება ძალიან სჭირდება.

— კლუბის გამოცვლას ურჩევთ?

— გადაჭრით მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იქნება. „ბაიერნი“ დიდი გუნდია, მაგრამ პოდოლსკი ორ წელიწადში დარწმუნდა, რომ რაც არ უნდა ხდებოდეს კლუბში, მას იშვიათად ათამაშებენ. თვითონ უნდა განსაზღვროს, „ბაიერნი“ სამართლიანად ექცევა თუ არა.

— იურგენ კლინსმანს პოდოლსკის გაშვება არ სურს. როგორ შეხვდით მის გამწვრთნელებას „ბაიერნში“?

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. კლუბს ჯილდოების მოგებას ვუსურვებ, მაგრამ მე მუდამ ხომ არ უნდა ვინერვიულო და ვიფიქრო იმაზე, თუ რა ხდება ჩემს ყოფილ გუნდში?

— ანუ იმის თაობაზე, რომ „ბაიერნში“ რევოლუციაა, სათქმელი არაფერი გაქვთ?

— ფეხბურთში სიახლეების მომხრე მეც ვარ და ვფიქრობ, რომ კლინსმანი კლუბის შეფებისგან ასპროცენტიან მხარდაჭერას მიიღებს.

— გჯერათ, რომ მას ყველაფერი კარგად გამოუვა?

— ჩემი აზრით, „ბაიერნით“ ნებისმიერი მიაღწევს წარმატებას. საუკეთესო ფეხბურთელებით და ფანტასტიკური ქომაგებით ადრეც ყველა მწვრთნელი რაღაცას იგებდა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ეხმარება კლუბის პატრონი გუნდის მწვრთნელს. მე კი ვხედავ, რომ კლინსმანის სურვილებს უსიტყვოდ ასრულებენ.

— მაგრამ მისი მეთოდები უცნაურად არ გეჩვენებათ? „ბაიერნის“ ბაზაზე ბუდას ქანდაკება დგას...

— არა მგონია, რომ ფეხბურთელობისას ჩემი უკეთესად თუ უარესად თამაში, ბუდას ყოფნა-არყოფნაზე იყო დამოკიდებული.

— ბუდათი თუ ბუდას გარეშე „ბაიერნი“ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგას მოიგებს?

— გუნდი უკვე აწყობილია და არ სჭირდება კიდევ ერთი წელი შესათამაშებლად. ამიტომ ვფიქრობ, რომ ნახევარფინალში მაინც უნდა გააღწიოს.

ორმოცგრადუსიანი ანტიტერორისტული ინტერვიუ

ფეხბურთი 8 000 კილომეტრს იქით

იგრძენით საკუთარი ღვიძლით: შირაკა სტრანა მაია რადნაია

კიდევ კარგი, დაიშალა და გამოვერიდეთ, მაგრამ მაინც რამხელა დარჩა ეს ოხერი?! რუსეთზე მოგახსენებთ. ამ გველეშაპივით გაწოლილ ქვეყნის კუდიდან თავში რომ მოექცე, ბარე სამ-ოთხ ქალაქში უნდა დასვა თვითმფრინავი და საწვავით გაავსო.

ო, რა მძიმე მგზავრობა ელით კალინინგრადის „ბალტიკას" და ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას"! გუშინწინ გამართულმა კენჭისყრამ რუსეთის თასზე შემორჩენილი 32 გუნდიდან მაინცდამაინც უკიდურესი დასავლეთისა და შორეული აღმოსავლეთის საფეხბურთო კლუბები შეაჯახა ერთმანეთს. კენჭისყრის დამსწრეებმა გვარიანად იხალისეს, მაგრამ კალინინგრადელებსა და ვლადივოსტოკელებს სასაცილოდ ნამდვილად არ აქვთ საქმე. მათ რიგრიგობით უნდა მოიტოვონ 8 ათასი კილომეტრი, რათა ერთმანეთს ფეხბურთი ეთამაშონ და თან, 10-10-საათიანი. ფრენისას გალაყებული გულ-ღვიძლით ახალი ძალით შეიგრძნონ „შირაკა სტრანა მაია რადნაიას" „მაგიური" აზრი.

ამბობენ, რუსეთში და, მით უმეტეს ციმბირში, „კაი ფული იშოვება". მშოვნელებიც ნაშოვნით ფეხბურთელებს ყიდულობენ და შორეულ აღმოსავლეთშიც, აგერ, სამი კარგი გუნდი შეიკრა და სამივე გავიდა რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში — ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგია", ხაბაროვსკის „სკა-ენერგია" და კომსომოლსკ ნა ამურეს (არის ასეთი ქალაქიც) „სმენა". ვლადივოსტოკელთა ამბავი ზემოთ წერია. ხაბაროვსკლებს და კომსომოლსკელებს კი გეოგრაფიულ ამბავში შედარებით გაუმართლათ და მთლად დედამიწის მეორე გვერდზე გაშენებული ქალაქები არ შეხვდათ. ხაბაროვსკელები ურალისპირა პერმის „ამკარს" ეთამაშებიან, კომსომოლსკელები კი — ვოლგისპირა ყაზანის „რუბინს". მართალია, „რუბინი" და „ამკარი" უფრო ძლიერი მეტოქეები არიან, ვიდრე კალინინგრადის „ბალტიკა", მაგრამ მათთან შესახვედრად ერთი-ორი ათასი კილომეტრით ნაკლების გაფრენა მოუწევთ და ესეც ხომ საქმეა.

განო ძოგიძეშვილი

გაზპრომს რა ენაღვლება, არშავინზეც ფულს აკეთებს


ანდრეი არშავინი

„ზენიტმა" ანდრეი არშავინი 15 მილიონ ევროდ „ბარსელონას" არ დაუთმო და ფეხბურთელი შესაძლოა, „ჩელსიში" ან „არსენალში" გადავიდეს.

რუსულმა კლუბმა განაცხადა, რომ „ბარსა" ერთადერთი გუნდია, რომელმაც ოფიციალურად მიმართა და მოლაპარაკებაც მიმდინარეობდა. თვად არშავინსაც კატალონიურ გუნდში გადასვლა სურდა, მაგრამ გარიგება არ შედგა.

„ჩელსის" და „არსენალს" ოფიციალურად არაფერი გაუმხელიათ, მაგრამ ფეხბურთელის აგენტმა დენის ლახტერმა თქვა, ჩემი კლიენტი კარიერას, ალბათ, ინგლისში გააგრძელებსო.

„ანდრეის პრემიერლიგა მოსწონს და იქ დიდი სიამოვნებით ითამაშებს, მაგრამ არა „ნიუკასლის", „ასტონ ვილას" ან „მიდლსბროს" დონის კლუბებში. ზედა ოთხეულის ერთ-ერთ გუნდში, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში იქნება. აქ საქმე ფულს კი არა, სპორტულ ამბიციას ეხება.

„ზენიტი" რამოდენიმე კლუბთან ვაჭრობას აპირებს არშავინის თაობაზე. ახლა პრეზიდენტის ალექსანდრ დიუკოვის მითითებას ველოდებით, რომ ნება დაგვრთოს მოლაპარაკების დასაწყებად. სავარაუდოდ, არშავინი პრემიერლიგაში აღმოჩნდება.

„ბარსამ" 15 მილიონი ევრო შემოგვთავაზა, მაგრამ „ზენიტი" ორჯერ მეტს ითხოვს და 30 მილიონს ერთი ცენტიც არ დააკლდება. ეს „გაზპრომის" კლუბია და იაფად ფეხბურთელს არ გაყიდის" — განაცხადა ლახტერმა.

გაგა ხუციშვილი

აი, ნამდვილი დემოკრატია!

ლაპორტა შეცდომებს აღიარებს, ოპოზიცია მარცხითაც კმაყოფილია

მოგეხსენებათ, კვირას „ბარსელონაში" ყრილობა ჩატარდა, რომლის მიზანიც ამჟამინდელი პრეზიდენტის ხუან ლაპორტასთვის უნდობლობის გამოცხადება და შემდეგ ვადამდელი არჩევნების ჩატარება იყო.

ის, რომ კატალონიური კლუბის წევრების უმეტესი ნაწილი უკმაყოფილოა ლაპორტასა და მისი ჯგუფის მუშაობით, ნათლად გამოჩნდა, რადგან 60-მა პროცენტმა პრეზიდენტს უნდობლობა გამოუცხადა. თუმცა ოპოზიციურმა ძალებმა მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწიეს, რადგან ვადამდელი არჩევნებისთვის ხმების 66,6 პროცენტია საჭირო. ამის თაობაზე აქამდეც გვეწერა.

ახლა კი ხუან ლაპორტა ამბობს: „მესმის, რომ რაც მოხდა, ბოლო ორ წელიწადში ჩვენი მუშაობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტია. ვეცდებით, სათანადოდ ვიმოქმედოთ და ვითარება გამოვასწოროთ. გუნდმა სტაბილურობა უნდა დაიბრუნოს, კლუბის წევრებსა და ფანებს კი ჩვენდამი ნდობა უნდა აღუდგეთ. ამ ყველაფრის მისაღწევად მე და ჩემს ჯგუფს თავდაუზოგავად შორმა მოგვიწევს და ამას ვაპირებთ კიდეც. მჯერა, მიზანს მივაღწევთ".

ის, რომ „ბარსელონაში" ცვლილებებია საჭირო და საქმე კარგად აღარ მიდის, ბოლო ორმა სეზონმა მართლაც დაადასტურა. თუმცა ლაპორტა უშუალოდ კლუბის ხელმძღვანელობაში არაფრის შეცვლას არ აპირებს, იგი დირექტორებს სრულად ენდობა.

„ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა და ეს მახარებს. კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ „ბარსელონა" საოცრად დემოკრატიული კლუბია. მინდა, დიდი პატივისცემა გამოვხატო იმ 24 ათასი ადამიანისადმი, რომლებმაც ჩვენ დაგვიჭირა მხარი. მადლობა მათაც, ვინც წინააღმდეგ მისცეს ხმა და იმ 80 ათასსაც, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ თავი უნდა შეეკავებინათ არჩევანის გაკეთებისგან. ასევე მსურს, ჩემი პატივისცემა დავაფიქსირო ოპოზიციის ლიდერის ორიოლ ჟირალტის მიმართ. იგი ღირსეულად შეხვდა შედეგებს და საერთოდაც, ყველას საქციელი სამაგალითო გახლდათ. მართალია გამოერია რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ხმაურისა და აურზაურის ატეხვის სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ისინი აბსოლუტურ უმცირესობაში იყვნენ. ფაქტი ერთია, ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს „ბარსელონა" და კლუბისთვის კარგი გვინდა, წინ ერთობლივი ძალებით უნდა წავიდეთ. მე და „ბარსას" ამჟამინდელი ხელმძღვანელები მზად ვართ, ყველას ხელი გავუწოდოთ" — თქვა ლაპორტამ.

პრესას გაესაუბრა ჟირალტიც, რომელიც მართლაც მშვიდად გამოიყურება და ამბობს, რომ შედეგებით მაინც კმაყოფილია და ამ ყველაფრით „ბარსელონამ" გაიმარჯვა. ჟირალტმა ისიც თქვა, რადიკალური ნაბიჯების გადადგმას არ ვაპირებ, მოვლენების განვითარებას მშვიდად დაველოდებიო.

„ძალიან კმაყოფილი ვარ. სრულად რომ გაგვემარჯვა, ნაკლებ სავარაუდო იყო, რადგან წესები მკაცრი და მთლად სამართლიანი არ არის. 66,6 პროცენტის მოპოვება რთულია. თუმცა გამოჩნდა, რომ კლუბის წევრების უმეტესობა უკმაყოფილოა და ჩვენც სწორედ ამის ჩვენება გვინდოდა, ეს დემოკრატიული პროცესია, რომელმაც არანაირი უთანხმოება და დამატებითი პრობლემები არ უნდა შექმნას. ოღონდ, ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ კარგად უნდა გააანალიზოს შედეგები და სწორი დასკვნები გამოიტანოს. ყველაფერმა მშვიდად, მშვენივრად და ეფექტურად ჩაიარა, რისთვისაც მადლობას ვუხდი გუნდის წევრებს. ორგანიზატორებმა ჩინებული ზეიმი მოაწყვეს, ეს დღე ბევრ ბავშვს სამუდამოდ დაამახსოვრდება, რადგან მათ „კამპ ნოუზე" დადგეს ფეხი. ახლა გარკვეული პერიოდი დასვენებას ვაპირებ და დავაკვირდები მოვლენების განვითარებას" — განაცხადა ჟირალტმა.

გიორგი ძაძამიძე

ხუან ლაპორტა


ორიოლ ჟირალტი

პოუულსენი და იუვე გადაწყდა?

„იუვენტუსი“ ნახევარმცველის ძიებას აგრძელებს და შესაძლოა, არჩევანი სევილიელ კრისტიან პოულსენზე შეაჩეროს. აგრესიული თამაშით და ძირითადად ჩაშლაზე ორიენტირებული დანიელი „ბებერი ქალბატონის“ ფანებს შორის პოპულარობით არ სარგებლობს და იტალიური პრესის აზრით, კლუბის პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი ქომაგებს ამ ტრანსფერისთვის ნელ-ნელა ამზადებს. მით უმეტეს, რომ „ბიანკონერის“ უფროსობას პოულსენი სხვებთან შედარებით იაფი დაუჯდება.

„7-10 დღეში მივიღებთ გადაწყვეტილებას. არ ვიცი, პოულსენს დავიმატებთ თუ არა, მაგრამ მჯერა, საუკეთესო გამოსავალს ვიპოვით და ზუსტად იმ ფეხბურთელს ავირჩევთ, რომელიც ყველაზე მეტად გამოგვადგება. იაფიან ფეხბურთელს არ ვეძებთ, მაგრამ ცხადია, ფასსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ“ — თქვა კობოლი ჯოლიმ.

აქამდე, „იუვეში“ გადასვლის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი ხაბი ალონსო იყო, რომელსაც ტურინელები დიდი ხანია უტრიალებენ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა. თავად ესპანელმა ფეხბურთელმა განაცხადა „ლივერპულში“ დარჩენა მინდაო.

„წასვლას არ ვაპირებ. ყოველთვის ვამბობდი, რომ „ენფილდი“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონია. იქ საოცარი ატმოსფეროა და ფანები არნახულ მხარდაჭერას გიწევენ. მინდა, „ლივერპულთან“ ერთად პრემიერლიგა მოვიგო, რადგან ეს ერთადერთი ტიტულია, რაც მაკლია“.

„ბიანკონერის“ კი ახლა ნახევარდაცვის პრობლემა კიდევ უფრო აღელვებს, რადგან „ლივერპულში“ ალონსოს ექსთანაგუნდელმა მალელმა მოჰამედ სისოკომ ეროვნულ ნაკრებში ყოფნისას მიიღო ტრავმა და შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების გამოტოვება მოუხდეს.

„ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, მაგრამ მომოს ტრავმის მოშუშებას გარკვეული დრო სჭირდებ. იგი ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშებს და მომავალი სეზონის მოსამზადებელი პერიოდის დიდ ნაწილს გამოტოვებს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს, ეს რანიერის გადასაწყვეტია, შეუშვებს თუ არა მას მინდორზე. თუმცა ამაზე საუბარი ცოტა ადრეა, წინ მთელი თვეა“ — თქვა „იუვენტუსის“ ექიმმა რიკარდო აგრიკოლამ.

ძოკი ძანდელაძე

ინტერი იმედს არ კარგავს

ხავიერ ძანეტი

მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსიმ“ „ინტერს“ შეუთვალა, ფრენკ ლამპარდთან განშორებას არ ვაპირებთო, მილანელთა პრეზიდენტი მასიმო მორატი მაინც არ კარგავს იმედს, რომ ინგლისელი ნახევარმრცველის ხელში ჩაგდებას შეძლებს.

„ლონდონელებმა თქვეს, რომ მოლაპარაკება არ სურთ, რადგან ლამპარდთან განშორებას არ აპირებენ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ სწორი არ არის, თითქოს ჩვენ „ჩელსისთვის“ წინადადებით არ მიგვიმართავს. შეთავაზება იყო, მაგრამ ამაზე ბევრი ლაპარაკი არ გვსურს, რათა პრობლემა არ შეიქმნას. ასეა თუ ისე, ამ ტრანსფერთან დაკავშირებით ისევ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვნახოთ, რა მოხდება“ — თქვა მორატიმ.

მოგვიანებით კი გავრცელდა ცნობა, „ინტერმა“ უკვე მიმართა „ჩელსის“ ახალი გაუმჯობესებული წინადადებით და ახლა პასუხს ელოდებაო.

„ნერაძურის“ კაპიტან ხავიერ ძანეტისაც ეიმედება, რომ ლამპარდს „სან სიროზე“ იხილავს. ვეტერანი არგენტინელი „ნერაძურიში“ თავის თანამემამულეს, „ბარსელონას“ ახალგაზრდა ვარსკვლავს ლიონელ მესისაც ეპატიჟება.

„ფრენკის წინააღმდეგ მხოლოდ ეროვნული ნაკრების მაისურით მითამაშია. ის ნამდვილი ჩემპიონია. იცის დაცვა, თავდასხმა, თამაშის წაკითხვა, დარტყმა... მისი დარი ფეხბურთელები ბევრნი არ არიან. რაც შეეხება ლეოს, მას ხშირად ვესაუბრები ხოლმე. მისთვის „ბარსელონადან“ წამოსვლა ადვილი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ თუ მესი ესპანეთიდან წავა, ვფიქრობ, რომ სწორედ ჩვენთან გადმოვა. მართალია, მას ბევრი მსურველი ჰყავს, მაგრამ პრეზიდენტი მორატი ყველას აჯობებს“ — თქვა ძანეტიმ.

„ინტერის“ კაპიტანმა დეიან სტანკოვიჩზეც ილაპარაკა, რომელიც შეიძლება „იუვენტუსში“ გადაბარგდეს და ადრიანოზეც, ვინც „ნერაძურის“ ახლახან დაუბრუნდა ბრაზილიაში გატარებული სარეაბილიტაციო პერიოდის მერე და ეიმედება, ძველებურად ავთამაშდებიო.

ხავიერ ძანეტი: „იმედია, სტანკოვიჩი დარჩება, ხოლო თუ წავა, არა „იუვენტუსში“. დეიანი ჩვენს ფანებში ძალიან პოპულარულია და მათ მისი მდგომარეობა კარგად ესმით. რაც შეეხება ადრიანოს, მჯერა, ქომაგები ხვდებიან, რომ თავიდან მას დახმარება და მხარში ამოდგომა დასჭირდება. იგი ახლა კარგ გუნებაზეა და შემართება არ აკლია.“

ჟურნალისტები დიდხანს ელოდნენ, თუ როდის გააკეთებდა კომენტარს „ინტერის“ კაპიტანი კლუბის ახალ მწვრთნელ პორტუგალიელ ჟოზე მაურინიუზე და ბოლო ბოლო, ესეც მოხდა...

„დაახლოებით ერთ წელიწადში გავიგებთ, თუ რეალურად რა შეუძლია მაურინიუს, მაგრამ ფაქტია, რომ სადაც იმუშავა, ყველგან წარმატებას მიაღწია და დიდი კვალი დატოვა. მასზე პირველი შთაბეჭდილებაც საუკეთესო მაქვს, როცა მისი „ინტერში“ მოსვლა გადაწყდა, მყისვე დამირეკა და ვისაუბრეთ“ — დასძინა ძანეტიმ „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბრისას.

გიორგი ძაძაგაძე

ინტერესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასანოს სიმშვიდის საიდუმლო ქალია

იტალიის ნაკრებისა და „სამპდორიას“ თავდამსხმელმა ანტონიო კასანომ გასული სეზონი ჩინებულად ჩაატარა. წინა ზაფხულს მადრიდის „რეალიდან“ გენუელთა რიგებში იჯარით გადასულმა „ხულიგანმა“ ნელ-ნელა ფორმა აღიდგინა და ძველებურად ათამაშდა.

კასანოს გამოხტომებს იტალიაში „კასანატე“ შეარქვეს, თუმცა წინა სეზონში ექსრომაელი ოდენ ერთხელ გამოვიდა წყობიდან, როცა მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა და ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ამის მერე კი კასანო საოცრად მშვიდად გამოიყურებოდა, რითაც ბევრი გააკვირვა.

„ხულიგანის“ სიმშვიდისა და კარგი ქცევის საიდუმლო კი ერთი პატარა გოგონა, კასანოს ახალი გელფრენდი, კაროლინა მარჩიალისი ყოფილა. სხვათა შორის, 17 წლის კაროლინაც სპორტსმენია, კერძოდ კი, წყალბურთელი, იგი „დავოლინა ნერვიში“ თამაშობს.

„კაროლინამ ჩემი ცხოვრება შეცვალა. ეს ანგელოზი ძალიან მიყვარს. სწორედ მისი დამსახურებაა, „კასანატე“ რომ დავივიწყე, რადგან არ მინდა გული გავუტეხო და ჩემი ცუდი ქცევით დავამწუხრო. თავი მაქსიმალურად მოვთოკე და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. თუმცა არ მგონია, ყველაფერი ასე კარგად ყოფილიყო, „რეალში“ დაბრუნება რომ დამჭირვებოდა. მეშინოდა, რომ მადრიდში წასვლა მომიწევდა, მაგრამ იმედია, ეს აღარ მოხდება. გენუაში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და კარიერის აქ გაგრძელება მინდა. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ასეც იქნება და ახლა წყნარად შემიძლია კაროლინაზე, ჩემი ცხოვრების სიყვარულზე ლაპარაკი“ — თქვა კასანომ.

გიორგი ძაძაგაძე

ამორუზო: ჩაო რეჯინა

იტალიური „რეჯინა“ „ტორინოს“ ნიკოლა ამორუზოს მიჰყიდის. რეჯოკალბრიელები მოლაპარაკებას „ლაციოსთან“ აწარმოებდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და საბოლოოდ, ტურინელებთან გამონახეს საერთო ენა.

„რეჯინას“ თავის წამყვან ფორვარდთან განშორება სულაც არ უნდოდა, მაგრამ წასვლა თავად 33 წლის ამორუზომ ისურვა და კლუბმაც უარი არ უთხრა.

„აქ სამი ბრწყინვალე წელი გავატარე. პრეზიდენტ ლილო ფოტისთან და სხვა ხელმძღვანელებთან ჩინებული ურთიერთობა მაქვს. დიდი მადლობა ფანებს, რომელთა მხრიდან მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი. ჩემს კარიერაში ახლა მნიშვნელოვანი მომენტია და წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ „რეჯინა“ ყოველთვის დარჩება ჩემ გულში“ — თქვა ამორუზომ.

ტოტი ბურთს შეეხო

შეგახსენებთ, რომ „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ 19 აპრილს მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და მას მერე უთამაშებელია. სამშაბათს „გლადიატორთა“ საწვრთნელ ბაზაზე მან ინდივიდუალურად მსუბუქად წაივარჯიშა და თითქმის სამთვიანი პაუზის მერე, პირველად შეეხო ბურთს. „ბუპონეს“ მინდორზე დაბრუნება სექტემბრის ბოლოსთვისაა ნავარაუდები.

დენისის სამგოლიანი დებიუტი

იტალიური „ნაპოლი“, რომლისგანაც მომავალ სეზონში სიურპრიზს ელიან, ავსტრიაში გადის შეკრებას. ნეაპოლელებმა ადგილობრივ „იენესდორს“ ამხანაგურ მატჩში 10:0 მოუგეს და ყველაზე მეტად იმით გაიხარეს, რომ კლუბის იმედისმომცემმა არგენტინელმა ახალწვეულმა სერმან დენისმა ჰეთ თრიქი გაახარხა. სამი გოლი გაიტანა ინასიო პიამაც, თითოჯერ კი რობერტო დე ძერბი, მიკელე საციენცა, ვალტერ მარგანო და სემ ჯალა ბანა გამოირჩნენ.

ძოკი ძანდელაძე

იტალიამ ვიოლა დაკარგა

7 ივლისს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ყოფილი მეკარე ჯოვანი ვიოლა, რამაც, ცხადია, ტურინი და მთელი იტალია ძალიან დაამწუხრა.

1926 წლის 20 ივნისს ტურინში დაბადებულ გოლკიპერს სერია A-ში 246 მატჩი აქვს ჩატარებული. „იუვენტუსის“ რიგებში იგი 1945-1958 წლებში თამაშობდა და სამჯერ სკუდეტოც მოიგო. „ბებერი ქალბატონის“ გარდა, ის „კარარეზეში“, „კომოში“, „ლუკეზესა“ და „ბრეშაში“ ირიცხებოდა.

ეროვნული ნაკრების ღირსება ვიოლამ 1954-1956 წლებში 11-ჯერ დაიცვა. მან ითამაშა შვეიცარიის 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელზეც „სკუადრა აძურა“ ჯგუფური ეტაპის დამატებით მატჩში მასპინძლებთან დამარცხდა და მეოთხედფინალში ვერ გააღწია.

გიორგი ძაძაგაძე

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. I დივიზიონი						
		11 ივლისი						
21:00	150	ლუსტენაუ-გრაზკორნი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
21:00	151	ვოცაბრიუკი-ლეობენი	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
21:00	152	ადმირა-აუსტრია მ	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
21:00	153	სტ პოლტენი-ზალცბურგი მ	2.35	3.10	2.65	1.33	1.24	1.42
21:00	154	გროდიგი-აუსტრია ლუსტენაუ	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
		რუსეთი. პრემიერლიგა						
		12 ივლისი						
16:00	20	ამკარი-ენერგია	1.44	3.40	7.50	1.01	1.20	2.33
16:00	21	სპარტაკი-ცსკა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
19:00	22	შინიკი-კრილია	3.20	3.00	2.15	1.54	1.28	1.25
		13 ივლისი						
15:30	23	ტომსკი-ნალჩიკი	2.15	2.90	3.25	1.23	1.29	1.53
16:00	24	დინამო მ-ლოკომოტივი მ	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
		ფინეთი. ვაკიუხლიგა						
		12 ივლისი						
19:30	72	ტამპერე-პონკა	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
		13 ივლისი						
19:30	73	ვპს-როვანიემი	2.15	3.10	3.35	1.26	1.30	1.61
19:30	74	კუოპიო-იარო	2.60	3.30	2.45	1.45	1.26	1.40
19:30	75	მარიეჰამნი-ლაპტი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
19:30	76	ჰიკ-ჰაკა	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
		14 ივლისი						
20:00	77	ინტერი-მიუპა	2.15	3.20	3.25	1.28	1.29	1.61
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		10 ივლისი						
23:55	81	რეიკიავიკი-ვალური	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		11 ივლისი						
23:00	87	ფინ ჰარპი-კორკი	4.80	3.40	1.70	1.99	1.25	1.13
22:45	89	დერი-ბრეი	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
22:45	90	გალვეი-ხლიგო	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
22:45	91	დუბლინი-შემროკი	2.40	3.10	2.85	1.35	1.30	1.48
		12 ივლისი						
22:45	92	კობი-სტ.პატრიცხი	5.20	3.40	1.60	2.05	1.22	1.08
		იაპონია						
		12 ივლისი						
14:00	93	ომია-ივატა	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
14:00	94	ნაგოია-კაშივა	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
14:00	95	გამბა-კავასაკი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
13:00	96	ჯერდი-კიოტო	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
13:00	97	შიმიცუ-კობე	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
13:00	98	ოიტა-ურავა	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		13 ივლისი						
14:00	99	კაშიმა-ტოკიო	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
14:00	100	ინიპარა-საპორო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
14:00	101	იოკოჰამა ფმ-ნიიგატა	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
		აშშ. MLS						
		11 ივლისი						
04:00	102	კანზასი-ნიუ იორკი	2.05	3.20	3.25	1.24	1.25	1.61
07:00	103	ლოს ანჯელესი-ჩივასი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
		12 ივლისი						
23:55	105	სან ხოსე-კოლორადო	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
		13 ივლისი						
05:00	104	სოლტ ლეიკი-კოლამბუსი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
04:30	106	ჩიკაგო-ტორონტო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		11 ივლისი						
03:30	114	პალმეირასი-ფლუმინენსე	1.55	3.60	5.25	1.08	1.19	2.13
03:30	115	იპატინგა-კრუზეირო	3.00	3.10	2.15	1.52	1.25	1.26
03:30	116	ვასკუ და გამა-სპორტ რიბეიუ	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
		საერთაშორისო						
		ამხანაგური მატჩები						
		11 ივლისი						
22:30	139	ბრენტფორდი-ოფსეტი	3.20	3.40	1.90	1.64	1.19	1.21
		12 ივლისი						
18:00	140	აბერდინი-მანჩესტერი	6.40	3.50	1.43	2.26	1.16	1.01
18:00	141	ებბოფლეტი-ჩარლტონი	5.00	3.50	1.52	2.05	1.16	1.05
18:00	142	ციურიხი-ასტონ ვილა	3.00	3.10	2.10	1.52	1.23	1.25
18:00	143	ფორეტ გრინი-ბრისტოლი	4.00	3.50	1.65	1.86	1.16	1.12
18:00	144	ხიონი-ეკვერტონი	3.40	3.40	1.85	1.70	1.19	1.19
18:00	145	ტრანმერე-ლივერპული	8.00	4.20	1.30	2.75	1.11	1.00
18:00	146	რექსემი-ვულვერჰემპტონი	5.20	3.50	1.52	2.09	1.17	1.05
		შვედეთი. თასი						
		10 ივლისი						
21:00	148	ნორჩოპინგი-ენჩიოპინგი	1.50	3.80	5.50	1.07	1.17	2.24
		UEFA. ინტერტოტის თასი						
		12 ივლისი						
17:30	1	ელფსბორგი-პიბერნიანი	1.70	3.30	3.80	1.12	1.17	1.76
15:30	2	ბესა-გრასჰოპერი	3.70	3.30	1.75	1.74	1.18	1.14
20:00	3	ჰონვედი-ტეპლიცე	2.40	3.40	2.30	1.40	1.17	1.37
20:00	4	ნეფჩი-ბეერსხოტი	2.40	3.40	2.30	1.40	1.17	1.37
21:00	5	ბნეი-რენოვა	1.75	3.40	3.60	1.15	1.17	1.74
22:00	6	ბოპემიანხი-რიგა	1.40	3.80	5.80	1.02	1.12	2.29
22:00	7	ნოვა გორიცა-ბურგასი	1.80	3.30	3.40	1.16	1.17	1.67
		13 ივლისი						
18:00	8	რუსენბორგი-ეკრანასი	1.20	5.00	10.00	1.00	1.07	3.33
19:00	9	შახტიორი ხ-შტურმი გრაც	2.50	3.40	2.25	1.44	1.18	1.35
20:00	10	ეტცელა-სატურნი მ	5.00	4.50	1.40	2.36	1.09	1.06
20:00	11	ოდენსე-ტურკუ	1.30	4.00	7.50	1.00	1.10	2.60
20:00	12	ხივასპორი-გრბალი	1.25	4.40	8.50	1.00	1.08	2.89
20:00	13	ტავრია-ტირასპოლი	1.25	4.40	8.50	1.00	1.08	2.89
21:30	14	პანიონიოსი-ბელგრადი	1.80	3.30	3.40	1.16	1.17	1.67

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10148	ნორჩოპინგი-ენჩიოპინგი	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10001	ელფსბორგი-პიბერნიანი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10002	ბესა-გრასჰოპერი	4.10	2.00	2.30	1.34	1.47	1.06
10003	ჰონვედი-ტეპლიცე	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10004	ნეფჩი-ბეერსხოტი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10005	ბნეი-რენოვა	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10006	ბოპემიანხი-რიგა	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10007	ნოვა გორიცა-ბურგასი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10009	შახტიორი ხ-შტურმი გრაც	3.00	2.00	3.00	1.20	1.50	1.20
10010	ეტცელა-სატურნი მ	5.20	2.10	2.00	1.49	1.44	1.02
10011	ოდენსე-ტურკუ	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10014	პანიონიოსი-ბელგრადი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11148	ნორჩოპინგი-ენჩიოპინგი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11001	ელფსბორგი-პიბერნიანი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11002	ბესა-გრასჰოპერი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11003	ჰონვედი-ტეპლიცე	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11004	ნეფჩი-ბეერსხოტი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11005	ბნეი-რენოვა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11006	ბოპემიანხი-რიგა	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11007	ნოვა გორიცა-ბურგასი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11009	შახტიორი ხ-შტურმი გრაც	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11010	ეტცელა-სატურნი მ	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11011	ოდენსე-ტურკუ	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11014	პანიონიოსი-ბელგრადი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12001	ელფსბორგი-პიბერნიანი	2,5	1.65	1.85
12002	ბესა-გრასჰოპერი	2,5	1.70	1.80
12003	ჰონვედი-ტეპლიცე	2,5	1.90	1.70
12004	ნეფჩი-ბეერსხოტი	2,5	1.70	1.90
12005	ბნეი-რენოვა	2,5	1.70	1.90
12006	ბოპემიანხი-რიგა	2,5	1.90	1.70
12007	ნოვა გორიცა-ბურგასი	2,5	1.90	1.70
12008	რუსენბორგი-ეკრანასი	2,5	2.00	1.55
12009	შახტიორი ხ-შტურმი გრაც	2,5	1.90	1.70
12010	ეტცელა-სატურნი მ	2,5	2.10	1.50
12011	ოდენსე-ტურკუ	2,5	1.95	1.65
12012	ხივასპორი-გრბალი	2,5	2.00	1.60
12013	ტავრია-ტირასპოლი	2,5	1.95	1.65
12014	პანიონიოსი-ბელგრადი	2,5	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი წაგებულად ჩაითვლება)

14148	ნორჩოპინგი-ენჩიოპინგი	1.30	2.50
14001	ელფსბორგი-პიბერნიანი	1.45	2.40
14002	ბესა-გრასჰოპერი	2.40	1.45
14003	ჰონვედი-ტეპლიცე	2.00	1.80
14004	ნეფჩი-ბეერსხოტი	2.00	1.80
14005	ბნეი-რენოვა	1.45	2.40
14006	ბოპემიანხი-რიგა	1.20	2.60
14007	ნოვა გორიცა-ბურგასი	1.65	2.30
14009	შახტიორი ხ-შტურმი გრაც	2.00	1.80
14010	ეტცელა-სატურნი მ	2.60	1.20
14011	ოდენსე-ტურკუ	1.08	2.90
14014	პანიონიოსი-ბელგრადი	1.65	2.30

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15148	ნორჩოპინგი-ენჩიოპინგი	3.00	2.80	2.00
15001	ელფსბორგი-პიბერნიანი	3.00	2.80	2.00
15002	ბესა-გრასჰოპერი	3.00	2.80	2.00
15003	ჰონვედი-ტეპლიცე	3.00	2.80	2.00
15004	ნეფჩი-ბეერსხოტი	3.00	2.80	2.00
15005	ბნეი-რენოვა	3.00	2.80	2.00
15006	ბოპემიანხი-რიგა	3.00	2.80	2.00
15007	ნოვა გორიცა-ბურგასი	3.00	2.80	2.00
15009	შახტიორი ხ-შტურმი გრაც	3.00	2.80	2.00
15010	ეტცელა-სატურნი მ	3.00	2.80	2.00
15011	ოდენსე-ტურკუ	3.00	2.80	2.00
15014	პანიონიოსი-ბელგრადი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16148	ნორჩოპინგი-ენჩიოპინგი	1.17	4.10
16001	ელფსბორგი-პიბერნიანი	1.24	3.60
16002	ბესა-გრასჰოპერი	2.45	1.40
16003	ჰონვედი-ტეპლიცე	1.70	1.95
16004	ნეფჩი-ბეერსხოტი	1.70	1.95
16005	ბნეი-რენოვა	1.25	3.40
16006	ბოპემიანხი-რიგა	1.11	5.70
16007	ნოვა გორიცა-ბურგასი	1.30	3.00
16009	შახტიორი ხ-შტურმი გრაც	1.80	1.85
16010	ეტცელა-სატურნი მ	3.60	1.24
16011	ოდენსე-ტურკუ	1.08	5.00
16014	პანიონიოსი-ბელგრადი	1.30	3.00

გოლი:ფსევდონიმი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფსევდონიმად)

17148	ნორჩოპინგი-ენჩიოპინგი	1.85	1.95
17001	ელფსბორგი-პიბერნიანი	1.85	1.95
17002	ბესა-გრასჰოპერი	1.85	1.95
17003	ჰონვედი-ტეპლიცე	1.85	1.95
17004	ნეფჩი-ბეერსხოტი	1.85	1.95
17005	ბნეი-რენოვა	1.85	1.95
17006	ბოპემიანხი-რიგა	1.85	1.95
17007	ნოვა გორიცა-ბურგასი	1.85	1.95
17009	შახტიორი ხ-შტურმი გრაც	1.85	1.95
17010	ეტცელა-სატურნი მ	1.85	1.95
17011	ოდენსე-ტურკუ	1.85	1.95
17014	პანიონიოსი-ბელგრადი	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

საპეკინო ბორჯომსხე[illegible] ძიუდოისტებს ფეხბურთიც გამოსდით

ბორჯომში, სპორტულ კომპლექს „ოლიმპში“ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა 10-დღიანი შეკრება გაიარა და დღეს თბილისში ბრუნდება. „ანტიკოსები“ რამდენიმე დღეს თბილისში გაჩერდებიან და მერე ბელარუსს მიაშურებენ, სადაც 13-27 ივლისს პეკინის ოლიმპიადის წინ დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს გაივლიან.

ბორჯომში, „ოლიმპშივე“ არიან ძიუდოისტებიც და ისინიც გამალებით ემზადებიან საპეკინოდ. სპორტულ კომპლექსში საკმაოდ ხალისიანი განწყობაა შექმნილი. მოჭიდავეები ფეხბურთითაც ერთობიან. რაც მთავარია, ტრავმას არავინ უჩივის და ყველა უკვე ოლიმპიადის მოლოდინშია. „ანტიკოსების“ 10-დღიანი შეკრება ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაეთმო. ნაკრების წევრებიც ნელ-ნელა ჩვეულ ფორმაში შედიან.

კლასიკოსთა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბედინაძემ ბორჯომულ შეკრებასთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: წონა მაქვს მომატებული, მაგრამ ეს არაფერია, მალე ჩემს წონაზე დავდგები. ვარჯიშებმა საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა. აქცენტი ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე გადავიტანეთ. ახლა ცოტა ხანს თბილისში ვიქნებით და მერე ბელარუსში მივდივართ, სადაც ბოლომდე უნდა დავიხვეწოთ. ოლიმპიადამდე ბევრიც აღარ დარჩა და ეს დრო მაქსიმალურად კარგადაა გამოსაყენებელი.

„ანტიკოსები“ კი დატოვებენ სპორტულ კომპლექსს, მაგრამ მათ მალევე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაენაცვლებიან. ზაზა თურმანიძის ფალავნები ბორჯომს 16 ივლისს ჩააკითხავენ.

ლეჟსო მაისურაძე

კალათბურთი

ახალი ბრენდი: ფილადელფია ბრენდით

გუშინწინ გვარიანი ძვრები მოხდა ნბაში — ერთბაშად რამდენიმე დიდმა კალათბურთელმა შეიცვალა კლუბი.

„კლიპერსს“ ჩაეშალა აღორძინების გეგმა. ამ კლუბმა ერთი კვირის წინ „გოლდენ სტეიტს“ გამოსტაცა სუპერვარსკვლავი ბირონ დევისი იმ იმედით, რომ საკუთარ თავისუფალ აგენტებსაც შეინარჩუნებდა და მომავალ სეზონს მძლავრი გუნდით შეხვდებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა და ხეირიანი მოთამაშეებიდან ერთადერთი კრის კამანილა შერჩა, თუ ახალწვეულ დევისს არ ჩავთვლით.

ელტონ ბრენდი

გადაწყდა, რომ „კლიპერსს“ დატოვებენ ელტონ ბრენდიც და კორი მაგეტიც. ეს უკანასკნელი უკვე შეუთანხმდა „გოლდენ სტეიტ უორიორზს“ 5-წლიან და 50-მილიონიან კონტრაქტზე. ამგვარად, გამოვიდა, რომ დევისმა და მაგეტმა კლუბები გაცვალეს. ისე, ამ „გოლდენ სტეიტის“ გაგვკვირვებია.: ეს გუნდი ისედაც სავსე იყო უკანახაზელებით, მისი მწვრთნელი დონ ნელსონი ხუთეულში ოთხ დაბალ კალათბურთელს აყენებდა, მაგრამ ერთადერთი ნამდვილი გამთამაშებელი ჰყავდა დევისის სახით, ახლა კი მისი ადგილი 198-სანტიმეტრიანმა მსროლელმა მაგეტმა უნდა შეავსოს? ნელსონის ხელში ხომ ისედაც ორი კარგი მსროლელია — მონტა ელისი და სტივენ ჯექსონი...

სამშაბათის მთავარი მოვლენა კი მაინც ელტონ ბრენდის „კლიპერსიდან“ გაქცევა იყო. ნბა-ს ერთ-ერთმა უძლიერესმა მძიმე ფორვარდმა თითქოს ძველ გუნდში დარჩენის და დევისთან ერთად თამაშის სურვილი გამოთქვა, მაგრამ აი, გადათქვა და „ფილადელფიას“ მიაშურა. კლუბს და მოთამაშეს ოფიციალური კონტრაქტი არ გაუფორმებიათ, ჯერ პირობებიც არ შეუთანხმებიათ და უცნობია, რამდენს მიიღებს ბრენდი ახალ გუნდში, მაგრამ „ფილადელფიამ“ ყველაფერი გააკეთა 203-სანტიმეტრიანი მოზვერა მეფარის ხელში ჩავაგდებად, რომელიც მატჩში საშუალოდ 20 ქულა და 10 მოხსნა ღირს. „სიქსერზის“ შეფებმა რამდენიმე ცვლილება მოახდინეს გუნდის შემადგენლობაში, რათა კლიპერსელისთვის ადგილი და სახელფასო მილიონები გაეთავისუფლებინათ. ასე მოუყარეს თავი დაახლოებით ყოველწლიურ 14 მილიონ დოლარს, თანაც მოთამაშეც ყოველმხრივ დააჯერეს „ფილადელფიის“ პერსპექტიულობაში.

„ფილადელფია“ ისედაც აპირებდა კარგი მძიმე ფორვარდის აყვანას და ატლანტელ ჯოშ სმიტსაც ეკურკურებოდა. ამ გუნდს ჰყავს კარგი გამთამაშებელი, ანდრე მილერი, ასევე მზარდი ვარსკვლავი ანდრე იგუდალა, რომელიც მსროლელადაც ვარგა და მსუბუქ ფორვარდადაც, თანაც ის უკვე 20-ქულიანი ვარსკვლავია. მაგრამ გუნდს აშკარად სჭირდებოდა კარგი მეფარე, რადგან ახმახ ცენტრ სამუელ დალემბერტს დაცვაში არა უშავს, ხსნის და აფარებს, თუმც შეტევაში მისი შესაძლებლობები საგრძნობლად შეზღუდულია და მხოლოდ „საფრთხობელას“ როლის შესრულება თუ შეუძლია.

სმიტი რაღად უნდოდათ, როცა ფილადელფიელებმა აგერ, ამხელა ვარსკვლავი მოწყვიტეს. „სიქსერზი“ ისედაც რიგიანი გუნდი იყო, პლეი ოფშიც კი გავიდა, ბრენდთან ერთად კი ფილადელფიელებს საერთოდ აღმოსავლეთის დაპყრობის ამბიციაც კი გაუჩნდებათ, თანაც პროგნოზებით, ერთ-ერთი აღმოსავლელი გრანდი „დეტროიტი“ დასუსტდება.

ამგვარად, „კლიპერსი“ დასუსტდა, „ფილადელფია“ კი გაძლიერდა. რაც შეეხება „გოლდენ სტეიტს“, ამ გუნდმა ბოლო სეზონში 47 თამაში მოიგო და მაინც ვერ მოხვდა პლეი ოფში, ახლა კი დევისის წასვლით და მაგეტის მიყვანით ალბათ ნაკლებ გამარჯვებას დააგროვებს. ასე რომ, ალბათ ეს გუნდიც სუსტებში უნდა „გავანაწილოთ“.

სათქმელია ისიც, რომ „გოლდენ სტეიტს“ გაექცა სათადარიგო მსუბუქი ფორვარდი, ფრანგი მიშელ პიეტრუსი, ვინაც კარიერის გაგრძელება აღმოსავლურ „ორლანდოში“ ინება რაშარდ ლუისისა და ჰიდაიეთ თურქოღლუს თადარიგში ყოფნით.

ამასობაში რამდენიმე კლუბმა კონტრაქტი გაუფორმა დრაფტზე სულ ახლახან აყვანილ ახალბედებს. „მემფისმა“ სამი წლით „დაატყვევა“ დრაფტის მესამე ნომერი ოჯეი მაიო, რომელიც თავიდანვე ისე სურდა, რომ როცა დრაფტზე მისი აყვანა „მინესოტამ“ დაასწრო, მემფისმა მის ხელში ჩასაგდებად 8-კაციანი გაცვლა გაჩარხა.

„ნიუ იორკმა“ სტანდარტული სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა დრაფტზე მეექვსე ნომრად აყვანილ იტალიელ ფორვარდ, დანილო გალინარის — ეს ბიჭი შტატების არაოფიციალური დედაქალაქის გუნდში სამი წლით დარჩება და თითო სეზონში 2,6 მილიონს მიიღებს. გავიხსენოთ, რომ 2002 წლის დრაფტზე „დენვერ ნაგიტსმა“ მეხუთე ნომრად ჰყვანილ ნიკა ცქიტიშვილსაც ასეთი კონტრაქტი გაუფორმა.

ირაკლი ფირცხელავა

სარეკლამო ევროლიგა

სხვა ევროტურნირებთან ერთად, გუშინწინ ბერლინში ევროლიგის კენჭისყრაც გაიმართა, სადაც დამტკიცდა გათამაშების ახალი სისტემა და რამდენიმე წვრილ-წვრილი ცვლილებებიც.

ევროპის მთავარი საკლუბო ტურნირი ახალი სეზონიდან განსხვავებული სისტემით ჩატარდება. პირველ ეტაპზე უწინდელი სამის ნაცვლად 4 ჯგუფი იქნება, რომლებშიც 6-6 გუნდი განაწილდა. მეორე ეტაპზე 4-4 საუკეთესო გავა და ეს 16 გუნდი ახალშექმნილ 4 ჯგუფში გადანაწილდება.

შეიცვალა პლეი ოფის სისტემაც. მეორე ჯგუფური ეტაპიდან გასული გუნდების მიმოსვლითი შერკინება აქამდე 2 მოგებამდე გრძელდებოდა, ახლა კი მეოთხედფინალური სერია 3-მატჩიანია და ისინი გუშინდელი კენჭისყრის მასპინძელ ბერლინში გაიმართება.

ევროლიგის მამებმა, რა თქმა უნდა, მარკეტინგული საკითხების სრულყოფაზეც იზრუნეს და მატჩების მსვლელობისას რეკლამის წილი გაზარდეს, რაც დამატებით წუთშესვენებებში გამოიხატა. ანუ ორივე ტაიმში ჩვეულებრივებთან ერთად იქნება თითო აუცილებელი სარეკლამო წუთშესვენება, რომლის მსვლელობისას სატელევიზიო ტრანსლაციების მყიდველი ტელეკომპანიები ეთერში ძვირადღირებულ რეკლამებს გაუშვებენ.

ამასთან, ტაიმებს შორის დაწესებული 15-წუთიანი შესვენება 2 წუთით გაიზარდა, რაც ისევ და ისევ სარეკლამო სარგებლის მიღების მიზნით გაკეთდა.

ირაკლი ბერტაია

A ჯგუფი

მაკაბი (ისრაელი), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), უნიკახა (ესპანეთი), ციბონა (ხორვატ[illegible]), ლე მანი (საფრანგეთი), ავილენო (იტალია)

B ჯგუფი

სიენა (იტალია), ბარსელონა (ესპანეთი), პანათინაიკოსი (საბერძნეთი), ჟალგირისი (ლიტვა), პროკომი (პოლონეთი), ნანსი (საფრანგეთი)

C ჯგუფი

ტაუ (ესპანეთი), ფენერბაჰჩე (თურქეთი), რომა (იტალია), ოლიმპია (სლოვენია), ხუვენტუდი (ესპანეთი), ალბა (გერმანია)

D ჯგუფი

ცსკა (რუსეთი), პარტიზანი (სერბეთი), რეალი (ესპანეთი), ეფს (თურქეთი), მილანი (იტალია), პანიონიოსი (საბრეძნეთი)

ტონგას ჩადი-ადიმ საქართველო ძველ ალაგზე დააბრუნა

ტონგას მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო რეიტინგში ცოტა ხნის წინ დაკარგული ადგილი დაიბრუნა. ტონგელებმა წყნარი ოკეანის თასის გათამაშებაში ფიჯის ნაკრებთან იმარჯვეს, რითაც სარეიტინგო 1,53 ქულა შეიმატეს და მე-15 პოზიციიდან მე-13-ზე დაბრუნდნენ. ყოველივე ამის გამო საქართველოს ნაკრები ისევ მე-14 ადგილზე ჩამოვიდა.

სამი ერის პირველობაზე ახალი ზელანდიისგან მარცხნაწვნევი სამხრეთ აფრიკა მე-2 ადგილზე დაქვეითდა. ამ გამარჯვების წყალობით „შავებმა“ 0,8 ქულა მოინაგრეს და პირველ პოზიციას უწიეს.

ზურაბ მიგრიაული

1(2).	ახალი ზელანდია	90,59
2(1).	სამხრეთ აფრიკა	90,01
3(3).	ავსტრალია	84,81
4(4).	არგენტინა	83,42
5(5).	ინგლისი	83,16
6(6).	უელსი	80,12
7(7).	საფრანგეთი	78,99
8(8).	ირლანდია	77,18
9(10).	შოტლანდია	76,18
9(10).	შოტლანდია	76,92
10(11).	იტალია	75,57
11(10).	ფიჯი	75,24
13(15).	ტონგა	70,05
14(13).	საქართველო	69,43
15(14).	კანადა	68,81
16(16).	იაპონია	67,35
17(17).	რუმინეთი	67,20
18(18).	რუსეთი	63,94
19(19).	ურუგვაი	63,94
20(20).	აშშ	63,11

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

ალდგომა და ხვალეო

რობერტ კუბიცას საორჭოფო მომავალი

მონრეალში, კანადის დიდ პრიზზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ „BMW-ზაუბერის“ პოლონელი მრბოლი რობერტ კუბიცა გენერალური კლასიფიკაციის თავში მოექცა და მართალია, შემდეგ ორ, ფრანგულ და ბრიტანულ ეტაპებზე მან ჩვეული წარმატებით ვეღარ იჯირითა, საერთო ჩათვლის მოწინავეებს მაინც კუდზე აზის და ოდენ ორი ქულით ჩამორჩება.

კუბიცა მართლაც უნიჭიერესი მრბოლია და ბუნებრივია, რომ „BMW-ზაუბერის“ შეფ მარიო ტაისენს მასთან კონტრაქტის გაგრძელება სურს. ამავდროულად, „სამეფო რბოლების“ სამზარეულოში ჩახედულები ამბობენ, რომ პოლონელით თვით „სკუდერია ფერარი“ დაინტერესდა და ეს კი ისეთი რამ გახლავთ, რაზედაც, ძნელად რომ რომელიმე მრბოლმა უარი თქვას.

თავად კუბიცა ჯერჯერობით კონკრეტულს არაფერს ამბობს თავისი სამომავლო გეგმების შესახებ. „ვნახოთ, რა იქნება ხვალ. ნამდვილად არ ვიცი, თუ რას მიმზადებს მომავალი. ეგ კი არა, ისიც არ ვიცი, თუ უახლოეს რბოლებში როგორ გამოვალ. ამ წუთისთვის ძალზე ბევრი კითხვებია, რომლებსაც პასუხები არ აქვთ — ფილოსოფიურად განაცხადა კუბიცამ და იქვე კითხვაზე, ხომ არ აპირებს „ფერარიში“ გადასვლას, ასე ორჭოფულად უპასუხა — არ ვიცი... შეიძლება. შეიძლება, ერთხელ მეც მომეცეს ასეთი შესაძლებლობა, ვნახოთ“.

კახა ლომაძე

ჰემილტონი ჰოკენჰაიმშიც ყველაზე სწრაფია

სილვერსტოუნის ლეგენდარულ ავტოდრომზე გასულ კვირას გამართული დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზით გამოწვეული ვნებათაღელვა ჯერაც არ ჩამცხრალა და ჰოკენჰაიმში, სადაც 20 ივლისს წლევანდელი საპირველფორულო ჩემპიონატის მორიგი, მეათე ეტაპი გაიმართება, ტესტები გახურდა.

ჰოკენჰაიმში მთელი საპირველფორმულო სამყარო, ანუ ათივე გუნდი შეიკრიბა, ოღონდაც ტესტების პირველ დღეს გერმანიაშიც წვიმდა და მთლად სრულფასოვანი ვარჯიში ვერ გამოვიდა.

ტესტების პირველ დღეს საუკეთესო კი სილვერსტოუნის გმირი, „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი პილოტი ლუის ჰემილტონი იყო, რომელმაც ჰოკენჰაიმის ტრასას 75-ჯერ შემოუქროლა და ყველაზე სწრაფ წრეზე წუთი და 15,484 წამი აჩვენა.

ჰოკენჰაიმი, ისევე როგორც სილვერსტოუნი, „მაკლარენ-მერსედესისთვის“ შინაური ტრასად ითვლება და ინგლისურ-გერმანულ საჯინიბოში იმედოვნებენ, რომ დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის მოპოვების შემდეგ ისინი გერმანიის დიდი პრიზისთვისაც შეძლებენ ბრძოლას.

ჰემილტონს 0,32 წამით ჩამორჩა მსოფლიოს ჩემპიონი, „ფერარის“ ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი, ხოლო მესამე შედეგი „ტოიოტას“ გერმანელმა მრბოლმა ნიკო როსბერგმა აჩვენა.

კახა ლომაძე

მასას კოეფიციენტმა წონაში დაიკლო

დიდ ბრიტანეთის დიდ პრიზზე ლუის ჰემილტონისა და ფელიპე მასას წარუმატებლობამ საჩემპიონო ბრძოლაში სიტუაცია არნახულად დაძაბა. გენერალურ კლასიფიკაციას ჰემილტონ-რაიკონენ-მასას სამეული ერთნაირი ქულებით ლიდერობს და ამ ტრიოს ოდენ ორი ქულით ჩამორჩება „BMW-ზაუბერის“ პოლონელი მრბოლი რობერტ კუბიცა.

საერთო ჩათვლაში მდგომარეობის შეცვლისა და გამწავავების კვალად შეიცვალა ბუქმეიკერთა პროგნოზებიც. „უილიამ ჰილის“ საბუქმეიკერო კანტორის აზრით, ამ წუთისთვის ჩემპიონატს ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს ჰემილტონისა და რაიკონენის სახით და ამ ორს შორის კი მცირე უპირატესობა ინგლისელის მხარესაა. კერძოდ, ჰემილტონის საჩემპიონო შანსებზე ფსონები 2,2/1 კოეფიციენტით მიიღება, ხოლო რაიკონენის კოეფიციენტი 2,25/1-თან არის.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჩათვლაში ჰემილტონისა და რაიკონენის გვერდითაა, ბუქმეიკერები მასას გაცილებით დაბლა აყენებენ — ბრაზილიელის ჩემპიონობაზე კოეფიციენტი 5/1-თან არის.

კუბიცაც, ლიდერებთან მხოლოდ 2 ქულას კი აგებს, მაგრამ ბუქმეიკერთა აზრით, „იაფად“ ფასობს. პოლონელის საჩემპიონო კოეფიციენტი 21/1-თან არის და მის შემდეგ კი „BMW-ზაუბერის“ გერმანელი მრბოლი ნიკ ჰაიდფელდი (51/1) და „მაკლარენ-მერსედესის“ ფინელი პილოტი ჰეიკი კოვალაინენი (81/1) მოდიან.

კახა ლომაძე



ლადო ჩიხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიხლაძე ბაქოში დაიქოქა

საქართველოს სადევისთასო ნაკრების ერთმა ლიდერმა ირაკლი ლაბაძემ რომ ჰოლანდიაში მიმდინარე 85-ათასიანი ჩელენჯერი მოგებით დაიწყო, ამის შესახებ გუშინ გვქონდა საუბარი. მეორე წრის შეხვედრას ლიტველ რიკარდას ბერანკისთან ირაკლი დღეს ჩაატარებს, მანამდე კი ჩვენი ნაკრების მეორე ლიდერზე, ლადო ჩიხლაძეზე ვთქვათ, რომელმაც, ტრავმებით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა.

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ITF-ის ეგიდით ტარდება ტურნირი, იქ ლადო პირველ ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში მან 6:4 6:1 აჯობა მასპინძელ ემილ ალიხანბეკოვს.

მეორე წრეში ჩიხლაძე ხორვატ სტეფანო ვუკოვს შეხვდება, რომელმაც, თავის მხრივ, ჩვენებური გიორგი ხრიკაძე სამ სეტში, 1:6 6:3 6:4 დაამარცხა.

როგორც გუშინვე ვთქვით, ბაქოს ტურნირის მეორე წრეშია დემეტრე თაქთაქიშვილიც და ახლა მე-5 ნომრად განთესილ რუს მიხაილ ვასილევთან გაარკვევს ურთიერთობას, ხოლო კიდევ ერთი ქართველი ლაზარე კუხალაშვილი პირველ წრეში 4:6 4:6 დამარცხდა მე-7 ნომრად განთესილ რუს ვლადიმირ კარუსევიჩთან.

სოფოს კამილა და ეველინი

იტალიის დედაქალაქ რომში, ტევერო რემოს თიხნარკორტებზე ITF-ის ეგიდით ქალთა 25-ათასიანი ტურნირი გახურდა. ამ შეჯიბრზე მე-8 ნომრად ჩვენებური სოფო შაფათავაა განთესილი და მან პირველ წრეში 6:3 7:6 მოუგო კვალიფიკაციიდან წამოსულ მასპინძელს, 16 წლისა და რეიტინგის 552-ე საფეხურზე მყოფ კამილა ჯიორჯის.

მეორე წრეში სოფო კიდევ ერთ იტალიელს, ეველინ მაიერს შეხვდება, რომელმაც საწყის შეხვედრაში 7:5 6:1 დაჯაბნა თავისი თანამემამულე კაროლინა პილოტა.

აი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალენთაუნის მაგარსაფარზე მიმდინარე 50-ათასიან ტურნირზე თამაში ქართველებმა უკვე დაამთავრეს. სალომე დევიძე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში დამარცხდა, ხოლო სოფო მელიქიშვილმა მესამე წრეს კი უწია, მაგრამ იქ 4:6 0:6 წააგო ვეტერან ამერიკელთან, 31 წლისა და ურეიტინგო ლაურენ ნიკლაუს-ზინკოთან და ძირითად ბადეში ვერ შეაღწია.



სოფო შაფათავა

ეს ხომ უიმბლდონია?!

რაფაელ ნადალს ბალახი ძროხებისთვის არ ემეტება

რაფაელ ნადალი მხოლოდ „გრუნტის მეფე“ აღარ არის. ესპანელმა კვირას ეპიკურ ფინალში როჯერ ფედერერის დამარცხებით უიმბლდონის ტიტული მოიგო და ყველა კრიტიკოსს დაუმტკიცა, რომ ტყუილად ეძახდნენ ერთი საფარის ჩოგბურთელს.

ყველაფერთან ერთად ნადალი მეორე ესპანელია, რომელმაც „სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთის“ კორტებზე გაჩემპიონება მოახერხა. აქამდე ეს მხოლოდ მანუელ სანტანას გაეკეთებინა 1966 წელს. ქვემოთ მოცემულ ინტერვიუში რაფა სწორედ იმაზე საუბრობს, თუ რამდენს ნიშნავს მისთვის და მთლიანად ესპანური ჩოგბურთისთვის მსოფლიოს უპრესტიჟულესი ტურნირის მოგება

— მეოთხე სეტში ორი მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენეთ. ამან არ აგანერვიულათ? თავი კოშმარში ხომ არ გეგონათ?

— ვფიქრობ, არასწორი ფორმულირებაა. ვერ გამოვიყენე-მეთქი არ ვიტყოდი, რადგანაც ისე გამოდის, რომ ჩემით გავაფუჭე რამე. არადა, ორივე შემთხვევაში ჩემზე ცოტა იყო დამოკიდებული. პირველად როჯერმა მოაწოდა ძალიან კარგად — ისე, მთელი შეხვედრა შესანიშნავად აწოდებდა — და ამას ფაქტობრივად ვერაფერ ხეირიანს ვერ დავუპირისპირებდი. მეორე მატჩ-პოინტზე კი მან იდეალურად ითამაშა. იმ მომენტში ბურთი მისგან მარცხნივ სპეციალურად გადავაგდე, რადგანაც მანამდე ბექჰენდზე ხშირად ცდებოდა. თუმც სწორედ აქ იმდენად ზუსტად და ძლიერად დაარტყა, რომ ფაქტობრივად უშანსოდ დამტოვა.

ასე რომ, როცა მეოთხე სეტი წავაგე და სკამზე ვიჯექი, ვფიქრობდი, კარგად ვთამაშობ, ყველაფერი კარგად გამომდის, ასე რომ, საჭიროა პოზიტიური განწყობის შენარჩუნება-მეთქი. მთავარი იყო ისევე გამეგრძელებინა, როგორც მანამდე ვთამაშობდი, რადგანაც საკუთარ თავთან არანაირი პრეტენზია არ მქონდა. მთლიანობაში საკმაოდ თვითდაჯერებული ვიყავი და ამიტომ მეხუთე სეტსაც კარგი განწყობით შევხვდი. სიმართლე გითხრათ, ახლა უზომოდ ბედნიერი ვარ იმით, რომ ასეთ ხასიათზე დარჩენა მოვახერხე, მორალურად არ გავტყდი და ეს გასაოცარი თამაში მოვიგე.

— კარგად გვახსოვს შარშანდელი მარცხის შემდეგ რამდენად დათრგუნილი იყავით. ახლა რას განიცდით?

— აღწერაც კი გამიჭირდება. უბრალოდ, ბედნიერი ვარ. ჩემთვის ნამდვილი საოცრებაა, სასწაულია უიმბლდონის ტიტულის მოგება. ბავშვობის ოცნების ასრულებასაც ძნელად დავარქმევ, რადგანაც პატარაობაში მხოლოდ აქ თამაშზე ვოცნებობდი, მაგრამ მაშინ. აზრადაც კი არ გამივლია, რომ როდისმე ჩემპიონებასაც შევძლებდი. ნებისმიერი ესპანელი ჩოგბურთელისთვის აქ მოგება ნამდვილი სასწაულია. რა თქმა უნდა, ყველა სპორტსმენისთვის დიდი პატივია, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ესპანელებისთვის, რადგანაც ჩვენ აქ არცთუ ბევრი ტიტული მოგვიგია. ასე რომ, ეს მართლაც ფანტასტიკაა.

— მეოთხე სეტის წაგება, რომელშიც ორი მატჩ-პოინტი გქონდათ, ბევრ სხვა ჩოგბურთელს წელში გატეხდა. თქვენ როგორღა შეძელით ამ ზეწოლის გაძლება და შემდეგ მეხუთე სეტში უმაღლესი დონის ჩოგბურთის ჩვენება?

— ეს ხომ უიმბლდონის ფინალი იყო? ისედაც ვიცოდი, რომ იოლად არაფერი მეგებოდა და ამიტომ თავიდანვე მზად ვიყავი ბოლომდე საბრძოლველად. ვიცოდი, რომ ჩემი სათამაშო გეგმისთვის არ უნდა გადამეხვია, რადგანაც საკმარისი იყო, ჩვეულ რიტმზე უარი მეთქვა და ყველაფერი მორჩებოდა. ამიტომ ვცდილობდი, არ მეფიქრა უკვე წაგებულ სეტებზე. მე ხომ ძალიან მაღალი დონის ჩოგბურთს ვაჩვენებდი და რატომ უნდა გავტეხილიყავი ფსიქოლოგიურად? ორი სეტი მოგებული მქონდა და მართალია, ორი ტაიბრეიკი წავაგე, მაგრამ იქაც ბევრი შეცდომა არ დამიშვია. კი, მეოთხე სეტში ტაიბრეიკზე 5:2 მიმყავდა და შემდეგ ორი ძალიან ცუდი გათამაშება ჩავატარე, მაგრამ აქ ცოტა არ გამიმართლა კიდეც. ჰოდა, ვეცადე, ეს გამეცნობიერებინა, რომ შემდეგ ამ მომენტებზე ზედმეტი აღარ მეფიქრა და ისინი წარსულში დამეტოვებინა. ამას ხომ ვეღარ შევცვლიდი. სამაგიეროდ, მეხუთე სეტში შემეძლო ყველაფრის გამოსწორება და კონცენტრაციაც ამაზე უნდა მომეხდინა.

— ცოტათი მაინც არ გადაიღალეთ?

— რა თქმა უნდა. ძალიან მძიმე დღე იყო, გრძელი და მძიმე. თანაც როცა ასეთ მნიშვნელოვან მატჩს ატარებ, არ შეიძლება, არ დაიღალო, რადგანაც მხოლოდ ფიზიკურად არ იღლები. მით უმეტეს, ეს შეხვედრა ძალიან გაიწელა.

— კარიერის საუკეთესო მატჩი იყო?

— ემოციების კუთხით, უეჭველად საუკეთესი იყო. მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ საუკეთესო იყო ჩემს მიერ ნაჩვენები თამაშის მიხედვით. თუმც არა, ალბათ ამ მხრივაც საუკეთესო იყო.

— უიმბლდონზე ჩემპიონობა „როლან გაროსის“ მოგებაზე დიდი მიღწევაა თუ არა — როგორც უკვე ახსენეთ, ესპანელებს აქ არცთუ ხშირად გაგიმარჯვიათ?

— „როლან გაროსის“ პირველად მოგებაც გასაოცარი შეგრძნება იყო. სიმართლე გითხრათ, არ მინდა, მოგებული სლემების შედარება იმ კუთხით, რომელი უფრო მეტს ნიშნავს ჩემთვის. მაგრამ ისე, უიმბლდონზე ჩემპიონობა ყველასთვის განსაკუთრებით საპატიოა აქაური ტრადიციებისა და ატმოსფეროს გამო, არა? თანაც უიმბლდონის მოგება ჩემთვის მართლაც მოულოდნელობაა, რასაც საფრანგეთის ღია პირველობაზე ვერ ვიტყვი.

— ბევრ ესპანელ ჩოგბურთელს არ მოსწონს აქ თამაში და არაერთს უთქვამს, ბალახი მხოლოდ ძროხებისთვის უნდა იყოსო. თქვენ კი ამდაგვარი არაფერი დაგცდენიათ...

— ასეთი ნამდვილად არაფერი მითქვამს, მე მიყვარს ამ საფარზე თამაში. 2005-ში ჟილ მიულერთან წაგების შემდეგაც ვთქვი, რომ ბალახზე ჩოგნაობა მსიამოვნებს-მეთქი. აქ ძალიან კარგი და ლამაზი შეხვედრები იმართება, რადგანაც წარმატების მისაღწევად ტაქტიკურად მრავალფეროვანი ჩოგბურთი უნდა ითამაშო. მართალია, წმინდა წყლის დაცვითი თამაშით, როგორსაც ესპანელები ვართ ჩვეულნი, ფონს ვერ გახვალ, მაგრამ უკანა ხაზიდან ჩოგნაობითაც შესაძლებელია ნებისმიერის დამარცხება. უბრალოდ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეგეძლოს ბადესთან კარგად თამაში, ეს უიმბლდონის აუცილებელი კომპონენტია.

— შეგიძლიათ გაგვანდოთ, რა უთხარით ერთმანეთს თქვენ და როჯერმა მატჩის ბოლოს?

— მე ვუთხარი, კარგი ტურნირი ჩაატარე-მეთქი და მერე მოვუბოდიშე, რადგან ვიცი, რამდენად ძნელი იყო მისთვის ეს მარცხი. მაგრამ ის დიდი ჩემპიონი და კიდევ უფრო დიდი პიროვნებაა. ერთნაირად, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით ხვდება ყველა მარცხსა თუ გამარჯვებას. ახლო მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ, რადგანაც სხვადახვა ქვეყნიდან ვართ, მაგრამ მე მას ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი და ვფიქრობ, ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა. რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი გამარჯვებით, მაგრამ ვწუხვარ როჯერის გამო, რადგან ტიტული მანაც დაიმსახურა.

— მეხუთე სეტში რამდენად ახლოს იყავით მარცხთან?

— საკმაოდ, რადგან მას ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და რომ აეღო, გამიჭირდებოდა გათანაბრება. თუმც იმ მომენტში ძალიან კარგად ვითამაშე — ჯერ ძლიერი ფორჰენდი დავარტყი, შემდეგ კი იდეალური სმეში შევასრულე. ისე, გამარჯვებასთან მეც არაერთხელ ვიყავი ახლოს, ვინაიდან რამდენიმე ბრეიკ-პოინტი მქონდა.

— როგორ შეეგუეთ იმას, რომ [illegible] გამო მატჩი ორჯერ შეწყდა?

— არ გამჭირვებია. შარშან ამის საკმარისი გამოცდილება მივიღე.

— ამ დროს გასახდელში რას აკეთებდით?

— განსაკუთრებულს არაფერს. ფორმა გამოვიცვალე, ცოტა მუსიკას მოვუსმინე.

— რამდენად გაღელვებდათ ის, რომ ბინდის გამო მატჩი შეიძლებოდა გადადებულიყო?

— ვგრძნობდი, რომ ეს დრო ახლოვდებოდა. ბოლო გეიმში უკვე ველარაფერს ვხედავდი. მაშინ ვიფიქრე, რომ თუ როჯერი ჩემი მოწოდების აღებასა და ანგარიშის გათანაბრებას შეძლებდა, მატჩს უდავოდ ორშაბათისთვის გადაიტანდნენ.

— პირველი ჩოგბურთელი ხართ, რომელიც სამეფო ლოჟაში აძვრა. რამდენად კარგად იცნობთ ესპანეთის პრინცს?

— მის აღმატებულობას რამდენჯერმე შევხვედრივარ. ჩემთვის უდიდესი პატივი იყო, რომ მან ჩემი მატჩის საყურებლად აქ ჩამოსვლა იკადრა. ეს მართლაც ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

— როჯერი უკვე დაამარცხეთ გრუნტზე და ბალახზე. ჰარდის ჯერია?

— იგი ჰარდზეც მყავს დამარცხებული, შარშან დუბაის ფინალში.

— სლემტურნირს ვგულისხმობდით...

— შორს ყურება არ მიყვარს. თუმც თუ როჯერთან ჰარდზე მომიწევს შეხვედრა, ეს ჩემთვის უკვე ისედაც კარგი ამბავი იქნება, არა? მას ხომ ფინალამდე ვერსად გადავაწყდები.

— შეგიძლიათ გადმოცეთ ის ემოციები, რაც მატჩის მიმდინარეობისას გქონდათ, როცა ნელ-ნელა უპირატესობა დაკარგეთ და ყველაფერი მეხუთე სეტისკენ წავიდა?

— ძალიან გამიჭირდება რამის გახსენება. თანაც ამ დროს ბევრ რამეზე არ ვფიქრობ ხელმე, რადგანაც ეს კონცენტრაციაში ხელს მიშლის. ჩემი მთავარი საზრუნავი ყოველთვის ყოველი მორიგი გათამაშებაა და მეტი არაფერი. ვცდილობ, მხოლოდ უახლოეს გათამაშებაზე ვიფიქრო და არა იმაზე, რაც მოხდა, ან მომავალში რა იქნება. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ამ დროს ტიტულზე დაიწყო ოცნება — ბოლო წამამდე ამაზე ფიქრი თავში არც კი გამივლია.



95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი



მთებზე, მთებზე ვნახოთ
ევანსს შუმახერი გაუკვირდა

შოლეს მიდამოებში გამართულმა 29,5-კილომეტრიანმა ინდივიდუალურმა რბოლამ რაღაც კითხვებზე კი გასცა პასუხი, მაგრამ უფრო მეტი უპასუხოდ დატოვა და, რაც ყველაზე მთავარია, ახალი კითხვები დაბადა.

დავიწყოთ იმით, რომ 29,5 კილომეტრი „ტურ დე ფრანსისთვის", ზოგადად, ძალზე ცოტაა. ანუ იმის თქმა გვინდა, რომ „ტურზე" ინდივიდუალური რბოლის დისტანცია, ტრადიციულად, 50 კილომეტრს აღემატება ხოლმე და სწორედ ასეთი იქნება წლევანდელი „ტურის" მეორე ინდივიდუალური რბოლა, რომელსაც ბოლოსწინა ეტაპი დაეთმობა. ასე რომ, ამ 29,5 კილომეტრით ძნელია ზუსტი დასკვნების გამოტანა და მაინც, გამოჩნდა, რომ კედელ ევანსი დიდებულ ფორმაშია და ამ წუთისთვის სწორედ ის გახლავთ წლევანდელი „დიდი მარყუჟის" უმთავრესი ფავორიტი.

ევანსმა შოლეში მეოთხე შედეგი აჩვენა, მხოლოდ 21 წამი წააგო გამარჯვებულ შტეფან შუმახერთან, აჯობა ინდივიდუალური რბოლის აღიარებულ სპეციალისტს, ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონ ფაბიენ კანცელარას და რაც მთავარია, უკან მოიტოვა თავისი მთავარი კონკურენტები — დენის მენშოვი, დამიანო კუნეგო, ალეხანდრო ვალვერდე, კარლოს სასტრე...

ევანსი რბოლის შემდეგ ამბობდა, ასეთი შუმახერი არასოდეს მინახავს, აი, კანცელარასგან კი გაცილებით მეტს ველოდი, ხოლო საკუთარი თავით კმაყოფილი ვარო.

რატომაც არ იქნება კმაყოფილი, ვალვერდეს ის ამ წუთისთვის წუთსა და 6 წამს უგებს და შეგახსენებთ, რომ წლევანდელი „ტურის" უმთავრეს ფავორიტებად, სწორედ ვალვერდეს და ევანსს მიიჩნევენ.

„კაის დეპარნის" ბასკმა გუშინწინდელი რბოლა აშკარად ჩაგდო. ესპანური ველოგუნდის თავკაცები იმედოვნებდნენ, რომ ვალვერდე შოლეში ევანსთან ბევრს არ წააგებდა და სხვა კონკურენტებს იქით აჯობებდა. ასეთი ვარაუდიც კი ჰქონდათ — ჩვენი ლიდერი ევანსთან თითოეულ კილომეტრზე, საშუალოდ, წამ-წამ-ნახევარზე მეტს არ წააგებს, ანუ საბოლოო ჯამში, სადღაც 40 წამით ჩამორჩებაო. იმის გათვალისწინებით, რომ ავსტრალიელი ინდივიდუალურ რბოლაში ესპანელზე ძლიერია, 40 წამი მართლაც მისაღები იქნებოდა ვალვერდესთვის, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მან თითოეულ კილომეტრზე ორ წამზე მეტი წააგო ავსტრალიელთან და ახლა ამ დანაკარგის ანაზღაურება მთებში მოუწევს.

დავანებოთ თავი ვალვერდეს და უკვე ნათელია, რომ პირველობისთვის ველარ იბრძოლებენ რიკარდო რიკო და კრისტოფ მორო. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდა იტალიელმა ვერ გაუძლო ზედიზედ მეორე სუპერრბოლას და „ჯირო დიტალიას" მეორეადგილოსანი უკვე ოთხ წუთზე მეტს აგებს ყვითელ მაისურასთან და ეს სხვაობა ალბათ უფრო გაიზრდება. მოროს ველოსიპედმა კი, როგორც ჩანს, საბოლოოდ ჩაიარა. ვეტერანი ფრანგის ჩამორჩენა ხუთ წუთს აღემატება და ძნელად, მთებში რომ რამე შეიცვალოს.

შუმახერმა კი მართლაც ყველა გააოცა, თუმც ნაკლებად სავარაუდოა, „გეროლშტაინერის" მრბოლმა ყვითელი მაისურა დიდხანს შეინარჩუნოს. ლიდერის ცვლილება, უკვე დღეს შეიძლება მოხდეს, როდესაც მეექვსე ეტაპის ბოლოსკენ ველოქარავანს ორი მეორე კატეგორიის მთა ექნება დასალაშქრი. თავისთავად, ეს, ზღვის დონიდან 1401 და 1289 მეტრზე აღმართული მთები ნამდვილად არ არის დიდი საშინელება, მაგრამ ეტაპის ფინიში აღმართშია და იქ კი რაღაც მართლა შეიძლება მოხდეს.

შუმახერს მხოლოდ 12 წამით ჩამორჩებიან კიმ კირხენი და დევიდ მილარი. მილარი დიდი ვერაფერი მთიელია, აი, კირხენს კი მთებში სიარული არ ესწავლება და ის ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება, მით უმეტეს, რომ გვერდით ჯორჯ ჰინკეიპის დარი მრავალნაცადი მრბოლი ეყოლება.

ჰინკეიპი თავად, მხოლოდ 41 წამს აგებს შუმახერთან და მეშვიდე ადგილზეა. წუთისა და 12 წამის ჩამორჩენით მეთერთმეტეა დენის მენშოვი. წუთსა და 22 წამს აგებს ვალვერდეს თანაგუნდელი და თანამემამულე ოსკარ პერეირო სიო და, თუ ვალვერდემ პირველივე მთებში არ დაიწყო მდგომარეობის გამოსწორება, გუნდმა შეიძლება, აქცენტიც შეცვალოს.

სხვა ფავორიტებიდან დამიანო კუნეგო წუთსა და 26 წამს აგებს ლიდერთან, ხოლო კარლოს სასტრე — წუთსა და 43 წამს, მაგრამ ისინი ინდივიდუალური რბოლის შემდეგ ასეთ ჩამორჩენას, ალბათ, ვარაუდობდნენ კიდეც კუნეგოცა და სასტრეც მთებში შეუტევენ და ვნახოთ, პირნეებამდე ბევრიც აღარაფერი დარჩა.

გუშინდელი, მეხუთე ეტაპი, რომელიც შოლესა და ჟერარ დეპარდიეს მშობლიურ შატორუს შორის 232 კმ-ზე იყო გაჭიმული, სპრინტერული საქმის გარჩევით და ბრიტანელი მარკ კავენდიშის გამარჯვებით დასრულდა. საერთო ჩათვლაში სურათი არ შეცვლილა.

V ეტაპი. შოლე — შატორუ 232 კმ

1. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, „კოლუმბია")	5სთ 27წთ 52 წმ
2. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი")	
3. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი")	
4. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი")	
5. ბედენ კუკი (ავსტრალია, „ბარლვორლდი")	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი")	19სთ 32წთ 33,00წმ
2. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია")	+12
3. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „ჯერმინ შიპოტლი")	+12
4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო")	+21
5. ფაბიენ კანჩელარა (შვეიცარია, CSC)	+33

თხუთმეტიდან ორმოცდაერთის ორმოცდაერთში ჩაეტია

დიდი ქვეყანაა ამერიკა დიდი შესაძლებლობებით და დიდი სპორტსმენებით. ამერიკელები პეკინის ოლიმპიადაზეც გამარჯვების და ოლიმპიურ ოქროს მოზრდილი ნაწილის დასათრევად მიდიან და პირველ რიგში მძლეოსნების და მოცურავეების ეიმედებათ.

სამშაბათს აშშ-ს ოლიმპიურმა კომიტეტმა ქვეყნის ცურვის ფედერაციასთან შეთანხმებით საოლიმპიადოდ გამზადებულ მოცურავეთა სია გამოაქვეყნა. კაცს თვალები შუბლზე აგივარდება, რომ გადახედავ — აშშ-ს პეკინში არც მეტი, არც ნაკლები 41 მოცურავე მიჰყავს. ეს რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე — ჩვენ ჩვენი ვთქვათ და — საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრთა რიცხვი. მსოფლიოს ორი ასეული ქვეყნიდან ბარე ნახევარს არ ეყოლება ოლიმპიურ კრებულში იმდენი სპორტსმენი, რამდენიც ამერიკელებს მარტო მოცურავე ჰყავთ.

იცოცხლეთ, მედლებსაც მოხვეტავენ — მარტო მაიკლ ფელპსი ჩინეთში რვა ოქროს ჩამოსატანად მიდის, საიდანაც ხუთი ინდივიდუალური და სამიც გუნდური იქნება. სხვებიც ისე ხომ არ ისხდებიან? წინასწარი პროგნოზით, სულ ამერიკელები, ასე 15 ან მეტ ოქროს მაინც ამოიღებენ პეკინის ახლად აშენებული ულამაზესი საცურაო აუზიდან.

ქვემოთ კი გთავაზობთ პეკინში მიმავალი 41 ამერიკელი მოცურავის სიას. სულ მაგარი ბოგო-ბიჭები არიან, 15 წლის ელიზაბეტ ბეისელიდან დაწყებული, 41 წლის დარა ტორესით დასრულებული. უფრო ქვემოთ კი ხელფარფლა მაიკლ ფელპსის რეკორდებსაც გადაავლეთ თვალი.

ვანო კობიაჯვილი

მაიკლ ფელპსის რეკორდები

400 მ კომპლექსურში

4.11,09	15.08.2002	ფ. ლოდერდეილი
4.10,73	07.04.2003	ინდიანაპოლისი
4.09,09	27.07.2003	ბარსელონა
4.08,41	07.07.2004	ლონგ ბიჩი
4.08,26	14.08.2004	ათენი
4.06,22	01.04.2007	მელბურნი
4.05,25	29.06.2008	ომაჰა

200 მ კომპლექსურში

1.57,94	29.06.2003	სანტა-კლარა
1.57,52	24.07.2003	ბარსელონა
1.56,04	25.07.2003	ბარსელონა
1.55,94	09.08.2003	კოლეჯ პარკი
1.55,84	20.08.2006	ვიქტორია
1.54,58	29.03.2007	მელბურნი
1.54,80	04.07.2008	ომაჰა

200 მ ბატერფლაიში

1.55,18	30.03.2001	ოსტინი
1.54,58	24.07.2001	ფუკუოკა
1.53,93	22.07.2003	ბარსელონა
1.53,82	17.08.2006	ვიქტორია
1.53,71	17.02.2007	კოლამბია
1.52,09	28.03.2007	მელბურნი

100 მ ბატერფლაიში

51,47	25.07.2003	ბარსელონა

200 მ თავისუფალში

1.43,86	27.03.2007	მელბურნი

ამერიკელი მოცურავეები პეკინის ოლიმპიადაზე

კაცები: 50 მ თავისუფალი: **გარეტ ვებერ-გეილი, ბენ უაილდმენ-ტობრინერი;** 100 მ თავისუფალი: **გარეტ ვებერ-გეილი;** 200 მ თავისუფალი: **მაიკლ ფელპსი, პიტერ ვანდერკაი;** 400 მ თავისუფალი: **ლარსენ იენსენი, პეტერ ვანდერკაი;** 1500 მ თავისუფალი: **ლარსენ იენსენი, პიტერ ვანდერკაი;** 100 მ გულაღმა: **აარონ პირსოლი, მეტ გრეგერსი;** 200 მ გულაღმა: **აარონ პირსოლი, რაიან ლოჩტე;** 100 მ ბრასი: **ბრენდან ჰანსენი, მარკ გენგდოლფი;** 200 მ ბრასი: **სკოტ სპენი, ერიკ შანტო;** 100 მ ბატერფლაი: **მაიკლ ფელპსი, იან კროკერი;** 200 მ ბატერფლაი: **მაიკლ ფელპსი, ჟილ სტოველი;** 200 მ კომპლექსური: **მაიკლ ფელპსი, რაიან ლოტჩე;** 400 მ კომპლექსური: **მაიკლ ფელპსი, რაიან ლოტჩე;** 4X100 მ თავისუფალი ესტაფეტა: **გარეტ ვებერ-გეილი, ჯეისონ ლეზაკი, კოლინ ჯონსი, ნათან ედრიან, ბენ უაილდმენ-ტობრინერი;** 4X200 ესტაფეტა: **მაიკლ ფელპსი, პიტერ ვანდერკაი, რიკი ბერენსი, კლეტ კელერი, ერიკ ვენდტი, დევიდ უოლტერსი**

ქალები: 50 მ თავისუფალი: **დარა ტორესი, ჯესიკა ჰარდი;** 100 მ თავისუფალი: **ნატალი კულინი, ლეისი ნიმეიერი;** 200 მ თავისუფალი: **კეტი ჰოფი, ელისონ სმიტი;** 400 მ თავისუფალი: **კეტი ჰოფი, კეიტ ციგლერი;** 800 მ თავისუფალი: **კეტი ჰოფი, კეიტ ციგლერი;** 100 მ გულაღმა: **ნატალი კულინი, მარგარეტ ჰოლცერი;** 200 მ გულაღმა: **მარგარეტ ჰოლცერი, ელიზაბეტ ბეისელი;** 100 მ ბრასი: **ჯესიკა ჰარდი, მეგან ჯენდრიკი;** 200 მ ბრასი: **რებეკა სონი, ამანდა ბირდი;** 100 მ ბატერფლაი: **კრისტინ მაგნუსონი, ელეინ ბრიდენი;** 200 მ ბატერფლაი: **ელეინ ბრიდენი, კეტლდინ ჰერსი;** 200 მ კომპლექსური: **კეტი ჰოფი, ნატალი კულინი;** 400 მ კომპლექსური: **კეტი ჰოფი, ელიზაბეტ ბეისელი;** 4X100 მ თავისუფალი ესტაფეტა: **დარა ტორესი, ნატალი კულინი, ჯესიკა ჰარდი, ლეისი ნიმეიერი, ემილი სილვერი;** 4X200 მ თავისუფალი ესტაფეტა: **კეტი ჰოფი, ელისონ სმიტი, ჯულიან სმიტი, კეროლინ ბარკლი, კიმ ვანდერბერგი, კრისტინ მარშალი**

4X100 მეტრ კომპლექსურ ესტაფეტაში ოთხივე სახეობაში საუკეთესონი გამოვლენ

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ბიორგი დარეჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ბიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00